ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**ქიბარ ხალვაშმა დვალს და აქიმიძეს რუსთავი 2-ის 40% შესთავაზა**

ისინი არ დათანხმდნენ



გვ.7

**19 ივლისიდან**

რევაზ მიშველაძე

**ციყვი ბორბალში**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 31 ივლისი, 2019

№179 (8133)

ფასი: 60 თეთრი

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ძმისშვილის დაკავებით სხეულიდან გული ამომაცალეს“

„ყველა უკანონოდ დაპატიმრებული ჩემი ძმა და ჩემი შვილია“



გვ.5

## „ოცნებამ“ ოქრუაშვილი ჯერ ზარზეიმით ჩამოიყვანა, ახლა კი დაიჭირა“



„მას აქვს შანსი, გახდეს ძლიერი პოლიტიკური ფიგურა“

ოქრუაშვილისნაირი მოწინააღმდეგე ნამდვილად არ არის სახუმარო ამბავი. ის „ოცნებას“ სულელურ საქმეებში არ გაჰყვა და საბოლოო ჯამში იქცა მათ მოწინააღმდეგედ.



გვ.3

## „ხაზარაძეს პოლიტიკაში ძალიან გაუჭირდება“

რამაზ საყვარელიძე: „ოცნების“ რეიტინგიც ეცემა და ნაციონალებისაც, მესამე ძალა კი არ ჩანს“



გვ.2

## უჩა ნანუაშვილი: „ოქრუაშვილის საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი“



გვ.4

„სტრასბური პირდაპირ ამბობს, წინასწარი პატიმრობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენეთო“



გვ.4

## „დაიმახსოვროს ივანიშვილმა, ვაჟრისგან დიქტატორი არ დადგება“

## სამეგრელოს გუბერნატორად გახარიას მარჯვენა ხელი ინიშნება



გვ.2

**სამართალი** გვ.7



## ზუგდიდში 72 წლის მამაკაცი ჭაში ჩავარდა



## ფსიქოტროპული ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის დამზადებისა და გასაღების ბრალდებით ექიმი დააკავეს



## ი.მ.-მ წერეთელზე სუპერმარკეტი გაძარცვა

**ეკონომიკა** გვ.6

## ირაკლი კოვზანაძე: „საქართველოს მონეტარულ ხელისუფლებას აქვს ყველა ბერკეტი, რათა უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა“



## ცემენტის 28 სახეობიდან ევროპული სტანდარტი მხოლოდ 9-მ დააკმაყოფილა



## სოხუმის საჰაერო სივრცეს როსტოვის საჰაერო სადისპეტჩერო გააკონტროლებს



ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** დავით ქიქინაძე: „ეროვნული ბანკი ლარის ორმოცს გადაიხდის და ხვალიდან, ალბათ გამოჯანმრთელდება“

**3** ეკონომიკის მინისტრის მოადგილე: „ლარი არის თავისუფალი თინეიჯერი“

**5** ეროვნული ბანკის პრეზიდენტი: „დღეს საქართველო საგარეო შოკს გადის“

**6** საქართველოში ხორცი გაძვირდა, — რა პროგნოზი აქვთ ფერმერებს

# „ხაზარაძეს პოლიტიკაში ძალიან გაუჭირდება“

## რამაზ საყვარელიძე: „ოცნების“ რეიტინგიც ეცემა და ნაციონალებისაც, მესამე ძალა კი არ ჩანს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე, მთავრობაში საკადრო ცვლილებებსა და ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ. ყველაზე მეტად შეიძლება სწორედ ეს სვლა აწყობდეს „ქართულ ოცნებას“?***

– ამ ფონზე სულ არ არის გასაკვირი, რომ ვადამდელ არჩევნებსა და სამთავრობო ცვლილებებზე იყოს საუბარი. ეს ის თემებია, რომლებიც პერიოდულად წამოტივტივდება და მერე ჩაქრება ხოლმე. ამ საკითხებზე არგუმენტირებული საუბარი რთულია.

***– ამ შემთხვევაში სტრატეგიულ გათვლაზეა საუბარი, რამდენად შეიძლება აწყობდეს ხელისუფლებას?***

– კითხვა აბსოლუტურად გასაგები და ლეგიტიმურია. მე ვსაუბრობ მიზანშეწონილობაზე, აწყობს კი იმ დროიდან გამომდინარე, რაც არჩევნებამდე დარჩა, ასეთი სვლა „ქართულ ოცნებას“? იმდენად მცირე დროა დარჩენილი, რომ რა აზრი აქვს ვადამდელ არჩევნებს, უბრალოდ, გაუგებარია. ხომ უნდა იყოს გონივრული დრო, ვადა, რომ ამან მოგცეს რაღაც.

მეორე, რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებებს, რომ მოხდეს საკადრო ცვლილებები, ეს როგორ იქნება აღქმული?! ხომ არ იქნება აღქმული, მაგალითად, როგორც სისუსტე, უკანდახევა?! ამას ხელისუფლების მხარდამჭერების პოზიციიდან ვსაუბრობ, თორემ ოპოზიციას და მის ამომრჩეველს საერთოდ ამათი დანახვა არ უნდა.

***– პირიქით ხომ შეიძლება იყოს აღქმული თუნდაც ამომრჩევლის იმ ნაწილში, ვინც იმედგაცრუებულია, რომ ეს შეიძლება ერთგვარი გზავნილი იყოს – პოლიტიკას ვცვლი, მიდგომებს ვცვლი?***

– ამ პოლიტიკას, რასაც ახლა თქვენ ბრძანებთ, სულ სხვა პოლიტიკური რეალობა და გარემო სჭირდება განსახორციელებლად. ეს არ არის მარტივად გასატარებელი, ამ შემთხვევაში რეალური სურვილიც და რეალური შესაძლებლობებიც არის საჭირო.

***– პოლიტიკური ნება?***

– დიახ!

***– თუ არაფერს შეცვლის ხელისუფლება, ეს ხომ კიდევ უფრო დაარტყამს მის იმიჯს?***

– რასაკვირველია, დაარტყამს, მაგრამ უსუსური ხელისუფლების იმიჯი კიდევ უფრო დაარტყამს. თან, არ მგონია, რომ სერიოზული, მაღალი დონის პროფესიონალი მენეჯერი ერთი წლით მინისტრობას დათანხმდეს.

მთავარი პრობლემა სულ სხვაგანაა. კვლავ გრძელდება ორპარტიულ ჭრილში დაპირისპირება. ეს კი ზოგადად პოლიტიკას ურტყამს. ეს კიდევ უფრო ზრდის ადამიანებში ნიჰილიზმს.

ეს ძალიან ცუდია. თუ ადამიანებმა ხელი ჩაიქნიეს და თქვეს, მაინც არაფერი გვეშველება, ეს არის ყველაზე დამღუპველი. თუ ადამიანი დაითრგუნა და რწმენა დაკარგა, მაშინ არაფერი გამოვა, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, ამომრჩეველი უბრალოდ არჩევნებზე არ მივა. ეს იქნება სწორედ კატასტროფა.

***– ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ პოლიტიკურად ერთმანეთს კვებავენ. ამიტომ მათ არ აწყობთ რეალური ალტერნატივის გამოჩენა.***

– რა თქმა უნდა! არც ერთს და არც მეორეს არ აწყობს, რომ ძლიერი ძალა გამოჩნდეს. რასაკვირველია, რეალური, წონიანი ძალების გამოჩენა ორივესთვის საფრთხის მატარებელია. ძლიერი კონკურენტი არავის აწყობს. გახსოვთ, თავის დროზე, როდესაც მიხეილ სააკაშვილს სუსტ ოპოზიციას საყვედურობდნენ, როგორ თქვა, მე ხომ ვერ გავაძლიერებ ოპოზიციასო.

ფაქტი ერთია – არსებული პოლიტიკური სპექტრიდან ალტერნატივას ამომრჩეველი ვერ ხედავს. ამიტომაც გვაქვს ის მონაცემები, რომლებიც გვაქვს. 60%-ზე მეტი იდენტიფიცირებას ვერც ერთ ძალასთან ვერ ახდენს და ამიტომაც სახლში რჩება. თუ ასე გაგრძელდა, ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება.

დღეს იქითკენ მიდის ყველაფერი, რომ ერთის რეიტინგიც და მეორის რეიტინგიც ეცემა, მესამე ძალა კი არ ჩანს.

***– ხაზარაძის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური ველის მოსუფთავება იყო? მის პოლიტიკურ შესაძლებლობებს როგორ აფასებთ?***

– საქართველოში ბიზნესმენის პოლიტიკაში შემოსვლა ახალი ამბავი არ არის. მერე ეს შემოსვლა როგორც მთავრდება, ესეც ახალი ამბავი არ არის. ხშირ შემთხვევაში წარმატებული ბიზნესმენები პოლიტიკაში ვერ ამართლებენ. ვერ ამართლებენ იმიტომ, რომ პოლიტიკა აბსოლუტურად სხვა რამეა და ბიზნესი – სხვა. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ საქართველოს რეალობაზე არ ვსაუბრობ. ბიზნესიდან მოსულ მსოფლიოს ნებისმიერ ლიდერზე იგივე შემიძლია გითხრათ. რა, ტრამპი კარგი ლიდერია?! როგორც ვიცი, ცუდი ბიზნესმენი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ აწყობილი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, ლამისაა, დაანგრიოს, მაგრამ ის ისე მყარად არის აშენებული, რომ ვერ ანგრევს.

ჩვენს რეალობას რომ დავუბრუნდეთ, მე ეჭვი მეპარება, რომ მამუკა ხაზარაძემ შეძლოს რეალურ ალტერნატივად ჩამოყალიბება. სწორედ იმ რეალობის გათვალისწინებით, რაზეც უკვე ვისაუბრე. აქვე გაგახსენებთ პატარკაციშვილის მაგალითს.

***– თქვენ ამბობთ, რომ ხაზარაძეს გაუჭირდება?***

– გაუჭირდება!

# სამეგრელოს გუბერნატორად გახარიას მარჯვენა ხელი ინიშნება

## ვინ გაუწია რეკომენდაცია ლევან კაკავას

შორენა მარსაგიშვილი



„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ მთავრობაში სერიოზული ცვლილებები იგეგმება და ეს ცვლილებები გუბერნატორებსაც შეეხება.

შესაცვლელთა სიაში სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორიც მოხვდა, რომელიც ამ თანამდებობაზე გასულ წელს დაინიშნა.

ალექსანდრე მოწერელიამ სამეგრელოს გუბერნატორის პოსტზე ლევან შონია ჩაანაცვლა, რომელიც არაერთ სკანდალში იყო გახვეული. როგორც ამბობენ, შს მინისტრმა, გიორგი გახარიამ, შონიას მოხსნას დიდი ძალისხმევა შეალია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ჯერ ისევ მოქმედი გუბერნატორიც გახარიას კადრად ითვლება, მაგრამ მისი შეცვლა მაინც გადაწყდა. როგორც „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ უთხრა, მოწერელიას გაშვება შს მინისტრმა გადაწყვიტა.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ შს მინისტრმა სამეგრელოს გუბერნატორის პოსტზე რეკომენდაცია თავის მარჯვენა ხელს და მოადგილეს ლევან კაკავას გაუწია.

ნორმალურ ქვეყანაში გუბერნატორების დანიშვნა შს მინისტრის საქმე არ იქნებოდა, მაგრამ საქართველოში ყველაფერი მოსულა და არც ის უნდა გავიოცროთ, თუ გუბერნატორი პოლიციის მაღალჩინოსანი გახდება.

მმართველ პარტიაში „ახალ თაობას“ უთხრეს, რომ ეს საკადრო ცვლილება შეიძლება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდეს. „ოცნებამ“ მართალია ზუგდიდის მერის არჩევნები მოიგო, მაგრამ ამას არნახული ძალისხმევა შეალია.

სამეგრელოში მძიმედ ჩაიარა საპრეზიდენტო არჩევნებმაც და მმართველი გუნდი დარწმუნდა, რომ აქ ცოტა სხვანაირი მუშაობაა საჭირო. წინა გუბერნატორი თავისი სკანდალებით ხალხს აღიზიანებდა. მოქმედ გუბერნატორს ეფექტურობას უწუნებენ.



მოგეხსენებათ, რომ არჩევნების ამბავში სამეგრელოს მხარე გიორგი გახარიას აქვს ჩაბარებული და რა გასაკვირია, თუ ის წინასწარ დაიკავებს თადარიგს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მმართველ პარტიაში მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. გავრილოვის სისხლიანი ღამის შემდეგ ერის დიდი ნაწილი მის გადადგომას ითხოვდა, როგორც ამბობენ, ოპოზიციასა და თვალებდათხრილ ხალხზე მეტად შს მინისტრის გადადგომა მეოცნებეებს სურდათ.

რამდენიმე მამალი ქოცი მზად იყო შს მინისტრის სავარძლის დასაკავებლად. ეს ამბავი გახარიამაც იცის. მან ისიც იცის, რომ მას რაღაცებს უჩალიჩებენ და არ გამორიცხავს, რომ სამეგრელო ჩაუგდონ.

ამიტომაც უპირებს კაკავას ამ მხარეში გადასროლას. ის იქ სიტუაციას კარგად იცნობს. ამასთან, ზუგდიდისა და ცაიშის მეუფე გერასიმესთან ახლობლობს.

და, როგორც ამბობენ, მას სწორედ მეუფე გერასიმემ გაუწია რეკომენდაცია.

# დავით ჭიჭინაძე: „ეროვნული ბანკი ლარის ორმოცს გადაიხდის და ხვალიდან, ალბათ გამოჯანმრთელდება“

სახალხო მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, ისნის რაიონის მაჟორიტარი დავით ჭიჭინაძე ლარის რეკორდულ გაუფასურებაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეფასებას ეხმაურება.



– ეროვნული ბანკი ლარის ორმოცს გადაიხდის და ხვალიდან, ალბათ გამოჯანმრთელდება, რადგან როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გვარწმუნებს, მილევადი პროცესები ყოფილა, – ამბობს ჭიჭინაძე.

მისივე თქმით, სანამ ბანკთაშორის ბირჟა არსებობდა, ჩვენთან ვალუტა სტაბილური და პროგნოზირებადი იყო, მაგრამ როგორც კი გაჩნდა „ბლუმბერგი“, მას შემდეგ დაიწყო რყევები და არასტაბილური კურსი.

– „ბლუმბერგზე“ ვაჭრობენ და ამ ვაჭრობაში ბანკები არასოდეს წაგებული არ არიან. მათი შემოსავალი კი, ასეთი სავალუტო ოპერაციებით, წელიწადში რამდენიმე ასეული მილიონია. გამოდის, რომ ბანკები ამით უფრო მეტ სარგებელს ნახულობენ, ვიდრე პირდაპირი საქმიანობით. ფიზიკური პირების და ბიზნესის დაკრედიტებას თუ განვასხვავებთ ერთმანეთისგან, ყველაზე დიდი წილი მოგება, ბანკებისთვის, მოდის სავალუტო ოპერაციებზე, ჯარიმებზე და მომსახურების გადასახადებზე და არა პრაქტიკულად ბანკის ოპერაციებზე, რომელიც წესით მეტი შემოსავალი უნდა იყოს. ამიტომ ვაცხადებ, რომ ბანკების მოგებების შემადგენელი ნაწილიც, ყოველთვის არის სპეკულაციური.

მაგალითისთვის: თუ გვეზრდება ლარის კურსი და მოსახლეობა ხელფასს იღებს ლარში, კრედიტები კი, აღებულია დოლარში, ე.ი. დასახარჯად ფული არ რჩება. თანხები ყოფნის კრედიტის მოსამსახურებლად და რაღაც ელემენტარულის შესაძენად. შედეგად, მოსახლეობა ღარიბდება და ეკონომიკაც არ იზრდება. ამიტომ, ნახევარპროცენტიანი ბრუნვის გადასახადიც რომ დაწესდეს დოლარზე, კომერციულ ბანკებს დღეში ხუთჯერ ყიდვა-გაყიდვის და კურსის თამაშის სურვილი ნამდვილად დაეკარგებათ და ლარის გაუფასურების სპეკულაციური ფაქტორიც მოისპობა, – აცხადებს ჭიჭინაძე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებამ“ ოქრუაშვილი ჯერ ზარზეიმით ჩამოიყვანა, ახლა კი დაიჭირა“

## „მას აქვს შანსი, გახდეს ძლიერი პოლიტიკური ფიგურა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს

***— ბატონო თორნიკე, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესების მიმართ? ოქრუაშვილის დაკავება რუსთავი 2-ს უკავშირდება?***

— იმდენი საეჭვო დამთხვევებია დროში, დაიჭირეს მაინცდამაინც მაშინ, როცა რუსთავი 2-ზე პრეტენზია წამოაყენა. ჩვენ, სამწუხაროდ, მივეჩვიეთ, რომ საქართველოში ხელმძღვანელობენ მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით. შესაბამისად, არავის სჯერა, რომ ოქრუაშვილი დააკავეს იმიტომ, რომ 20-21 ივნისს რაღაცას სჩადიოდა. ფაქტია, რომ მას არავისთვის დაურტყამს, რა ჩანს იმ კადრებით? არც არაფერი. უბრალოდ, იქაჩებოდა და თუ ასეა, იქ ბევრი იქაჩებოდა.

***— თქვენც ასე ფიქრობთ რომ აქ 20-21 ივნისი არაფერ შუაშია?***

— დიახ. თავის დროზე, როცა „ოცნებამ“ ჩამოიყვანა ოქრუაშვილი ზარზეიმით, რათა გამოეყენებინა სააკაშვილის წინააღმდეგ ჟვანიას საქმეზე და პატარკაციშვილის საქმეზე, მაშინ „ოცნებამ“ სერიოზული შეცდომა დაუშვა, თუ ეგონა, რომ ოქრუაშვილი იქცეოდა მის მოკავშირედ. მერე ხელი კრეს, არაფერი მისცეს მას.

ოქრუაშვილი ძალიან ამბიციური ადამიანია, როგორც ჩანს, გააბრაზეს და მანაც ასე უპასუხა. ოქრუაშვილისნაირი მოწინააღმდეგე ნამდვილად არ არის სახუმარო ამბავი. ძალიან ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული სააკაშვილის დროს, მას თავისი მხარდამჭერებიც ჰყავს და გავლენები აქვს სერიოზული.

რა გითხრათ, რაც დათესა „ოცნებამ“, იმას მოიმკის. ჯერ ჩამოიყვანეს ზარზეიმით, ახლა აღარ აწყობთ და იჭერენ.

***— რატომ ჩამოიყვანეს თავის დროზე?***

— იმიტომ, რომ რაღაც ილუზიებში იყვნენ, რომ ჟვანია მოკლეს და ოქრუაშვილი ამის გამოძიებაში დაეხმარებოდათ. მერე მეორე ბოდვა გაჩნდა, რომ პატარკაციშვილი მოაკვლევინა სააკაშვილმა, ესეც ხომ დიდი სისულელე იყო. უნდოდათ, ოქრუაშვილი ამ საქმეშიც გამოეყენებინათ. ეს სისულელე არ გამოუვიდათ, ბუნებრივია, რომ ოქრუაშვილი მათ ამ სულელურ საქმეებში არ გაჰყვა და საბოლოო ჯამში იქცა მათ მოწინააღმდეგედ.

***— ხელისუფლება მტკიცედ ადგას იმ ვერსიას, რომ 20-21 ივნისს შტურმით უნდა აეღო ოპოზიციას პარლამენტი და რომ ეს არის ოქრუაშვილის დაკავების მიზეზი.***

— ერთადერთი, რაც დღეს „ოცნებას“ აქვს სათქმელი, არის ის, რომ პარლამენტზე შეტევა არ იყო სწორი. თუმცა ეს ხომ სიმართლის ერთი მხარეა?! სიმართლის მეორე მხარეს ვხედავთ მომიტინგეების სასტიკ დარბევას, ლარის კატასტროფულად გაქცევას, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საბოლოო ჯამში, ასევე ვხედავთ ქვეყნის გაღარიბებას და ვხედავთ იმას, რომ ეს ქვეყანა საერთოდ დაიკარგა.

ველარ ვითარდება ქვეყანა, არასწორი გზით მიდის და ამას ამბობს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მარტო მე არ ვამბობ. ფაქტია, რომ კორუფცია დაბრუნდა, უამრავი პრობლემაა და გამოსავალი სად არის?! ლარის გაქცევას რომ მიტინგებს აბრალებენ, ეს ხომ სრული აბსურდია?! სააკაშვილის დროს საკნები იდგა, პარალიზებული იყო ქალაქი და ლარს არაფერი მოსვლია.

***— ანუ?***

— ანუ ის, რომ ქვეყანა ოროსნების ხელშია და ამიტომ გვემხობა თავზე! გამოდიან და ხან რას აბრალებენ და ხან რას, ხან ვის და ხან ვის, კარგით რა!

***— ოქრუაშვილი ივანიშვილის პირადი პატიმარიაო, პირადად მან გასცა დაპატიმრების ბრძანებაო. ამაზე რას იტყვით?***

— ასეთი დონის პოლიტიკური ფიგურის დაკავებას, მე მგონი, ივანიშვილის გარეშე ვერ გაბედავდნენ.

***— მაქსიმალურად ცდილობენ, სამხარაულის ბიუროს სკანდალმა არ გამოჟონოს, მაგრამ ამაზეც უკვე ბევრს საუბრობენ.***

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ხელმოწერა არის ნამდვილად ხალვაშის. ამაში ეჭვი არ მეპარება. იმიტომ, რომ ხალვაშს ასე მარტივად, თავიდან ბოლომდე, რუსთავი 2-ს არ აჩუქებდნენ, არ გადაუფორმებდნენ.

არაფერს არ წარმოადგენდა ხალვაში ნაციონალებისთვის. ნაციონალებმა აშოვნინეს მას ძალიან ბევრი ფული და რატომ უნდა მიეცათ რუსთავი 2 ისე, რომ არ დაეტოვებინათ არანაირი ბერკეტი, რომ მერე უკან წამოღება შეძლებოდათ, მე არ მესმის.

**ოქრუაშვილისნაირი მოწინააღმდეგე ნამდვილად არ არის სახუმარო ამბავი. ის „ოცნებას“ სულელურ საქმეებში არ გაჰყვა და საბოლოო ჯამში იქცა მათ მოწინააღმდეგედ.**

აქედან გამომდინარე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ხელმოწერა ხალვაშისაა და რუსთავი 2 რომ მისი არაა, ეს ყველამ იცის ძალიან კარგად. ეს ხალვაშმაც მშვენივრად იცის.

***— ანუ ოქრუაშვილის განცხადებები არის სიმართლე? რაც მან პირდაპირ ეთერში ილაპარაკა.***

— ამ შემთხვევაში კი, სიმართლეს ლაპარაკობდა.



**თორნიკე შარაშენიძე: „ქვეყანა ოროსნების ხელშია და ამიტომ გვემხობა თავზე!“**

***— ამიტომ დასჭირდათ მისი გამოკეტვა? სულ კეთდება პარალელები, თუკი გამოუშვეს მელია სამაჯურით, რატომ არ გამოუშვეს ოქრუაშვილი?***

— რა თქმა უნდა, ზუსტად ეგაა საქმე! ჩემი აზრით, ოქრუაშვილს აქვს შანსი, შედგეს ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად. სააკაშვილის დროს მან ხელიდან გაუშვა ეს შანსი, გატყდა, მოინანია და უცხოეთში წავიდა. ახლა აქვს შანსი და ეს შანსი უნდა გამოიყენოს, არ უნდა გატყდეს, თუ უნდა, რომ დაბრუნდეს აქტიურ პოლიტიკაში. თუ გაუძლებს, მას აქვს შანსი, რომ ჩამოყალიბდეს სერიოზულ მოთამაშედ.

***— ამ დაკავებით ივანიშვილის ხელისუფლება მას პოლიტიკურად გააძლიერებს?***

— დიახ, თუ არ გატყდა, აუცილებლად გაძლიერდება.

***— ბოლო პერიოდში ხელისუფლება აგონიაშია, შეცდომას შეცდომაზე უშვებს. რეალურად გაუჩნდა საშიშროება, რომ კარგავს ხელისუფლებას?***

— ბუნებრივია, ოროსნები უშვებენ შეცდომებს. აბა ოროსანი რისი ოროსანია, რომ შეცდომები არ დაუშვას?! იმდენი სისულელე ჩაიდინეს უკვე და ეს დღეს ხომ არ დაწყებულა? ბოლო ორი წელია, იმდენ სისულელეს აკეთებენ, მე კიდევ გულწრფელად მიკვირს, აქამდე როგორ მოატანეს.

***— საით მიჰყავთ პროცესები?***

— ძალიან მეშინია, მივალთ თუ არა მშვიდობიანად 2020-მდე. იქნებ როგორმე მივაღწიოთ. მერე თუ იქნება შანსი, რომ კოალიციური მთავრობა შეიქმნას, ეს საუკეთესო გამოსავალია, მაგრამ ასე თუ გასტანა, არ ვიცი, რა იქნება. შენი უვიცობით ქვეყანას ანგრევდე და თან სხვას აბრალებდე, ასეთი რაღაც არ მახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

***— დაპატიმრებებს თუ ელოდებით კიდევ? იქნება ოპონენტების დევნა?***

— ამ ეტაპზე მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რუსთავი 2-ის თემაა. ოქრუაშვილიც ამის გამო დააპატიმრეს. ჯერჯერობით ამ ეტაპზე ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი ჩანს, რომ ვიღაცის დაპატიმრება დასჭირდეთ.

თუ გამოჩნდება, არც ამას მოერიდებიან. ნებისმიერ დაპატიმრებას თავის ფასი აქვს. შესაბამისად, არა მგონია, ასე მარტივად სხვებს ჩამოუარონ და დაიჭირონ. ძალიან დიდ ფასს იხდიან ამ დაპატიმრებებში, იმიტომ, რომ სუსტები არიან ძალიან.

***— ხაზარაძის და ჯაფარაძის საქმესაც პოლიტიკური ელფერი აქვს?***

— ახლა გაახსენდათ ხაზარაძის საქმე და რატომ? ხაზარაძემ ჩათვალა, რომ ივანიშვილი დასუსტდა და ამიტომაც წამოყო თავი 20 ივნისის კრიზისის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ივანიშვილი არც ისე დასუსტებულია, რომ ვერ შეძლოს ხაზარაძის დაკითხვაზე დაბარება.

ბუნებრივია, აქაც პოლიტიკური ინტერესი იკვეთება. ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ეს ყველაფერი დროში. შეეცადნენ ამ ეტაპზე ხაზარაძის დაშინებას. ვნახოთ, რამდენად შეძლებენ მის დაშინებას, ასევე ოქრუაშვილის დაშინებას, ეს ძალიან საინტერესოა.

მე ჩემი პოზიცია მინდა დავაფიქსირო — მე არც ოქრუაშვილის ფანი ვარ და არც ხაზარაძის, მაგრამ ფაქტია, რომ მათი დევნა მიდის პოლიტიკური ნიშნით!

***— საკმაოდ მძიმე სიტუაციაა, ხედავთ კრიზისიდან გამოსავალს?***

— კრიზისიდან გამოსავალი არის ერთადერთი, რომლის შანსიც მინიმალურია. ივანიშვილმა უნდა გამოძებნოს თავის თავში ძალა, რესურსი, დაბრუნდეს და მოიყვანოს კოალიციური მთავრობა. კოალიციური და არა ყურმოჭრილი მონების, როგორიც ახლა ჰყავს გარშემო.

მეორე გამოსავალი არის, რომ მათ გაიაზრონ, რომ 2020 წლის არჩევნებში, ნორმალურ ვითარებაში, ისინი ვერ გაიმარჯვებენ და დაიწყონ ფიქრი იმაზე, რომ კულტურულად, ცივილურად, ქვეყანა ნელ-ნელა გადააბარონ სხვას.

ერთადერთი მცირე შანსი დარჩათ, კოალიციაში შევიდნენ სხვასთან ერთად, ერთპიროვნულად ისინი ქვეყანას ველარ მართავენ, ეს გამორიცხულია.

მოსახლეობა ამას ველარ აიტანს.

---

## ეკონომიკის მინისტრის მოადგილე: „ლარი არის თავისუფალი თინეიჯერი“

ეროვნული ვალუტის რეკორდულად გაუფასურების პარალელურად, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ალავიძეს „ლარს თინეიჯერს უწოდებს„.

— ლარი არის თავისუფალი, ასე ვთქვათ თინეიჯერი, რომელსაც თვითონ არეგულირებს ბაზარი დამოუკიდებლად. რა თქმა უნდა, მასზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს.

იყო, რა თქმა უნდა, მძიმე პოლიტიკური განცხადებები, იყო სამეზობლოში განვითარებული მოვლენები, როცა ჩვენი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები, ეს არის თურქეთი, რუსეთი და ორივე ქვეყანაში მიმდინარეობს გარკვეული ეკონომიკური პროცესები. რა თქმა უნდა, ეს აისახება ლარზე.მაკროეკონომიკური პარამეტრების კუთხით საკმაოდ ჯანსაღი მდგომარეობაა. ჩვენი საგადამხდელო ბალანსი დადებითად უმჯობესდება. დარწმუნებული ვარ, ეს პანიკური უკუკავშირები თავის ჩარჩოში ჩადგება„— განაცხადა მინისტრის მოადგილემ Business Media Georgia-სთან ინტერვიუში.



---

## გიორგი ისაკაძე: „მთავრობა არის დამნაშავე... ლარი მიშვებულია თავისუფალ ცურვაში“



“Forbes Georgia-ის“ მთავარი რედაქტორი, გიორგი ისაკაძე ამბობს, რომ ლარი თავისუფალ ცურვაში მიშვებულია.

— აქ რომელიმე ერთი ფაქტორის დაჭერა და დღეს ამაში ფულის გასროლა რაც იგულისხმება ეროვნული ბანკის რეზერვებიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, ვერ მოიტანს იმ შედეგს მარტივი მიზეზის გამო კურსმა სხვა მიზეზების გამო, იმის გამო, რომ არ არის გასული საგარეო შოკი, შეიძლება გააგრძელოს თავისუფალ რეჟიმში ცურვა, ის შეიძლება ვერ გააჩეროს ვერც 20,30 და ვერც 50 მილიონის ინტერვენციამ, ცხადია, რომ თავი და ბოლო, მთავრობა არის დამნაშავე დასაწყისში პრობლემის წარმოქმნისა, ძალიან რთულია, სწრაფი და მყისიერი რეაგირება გვქონდეს, მაგრამ აქ ის შემთხვევაა, როცა ჩვენ რეაგირება საერთოდ არ გვქონდა. ლარს კონკრეტულად გამოკვეთილი პატრონი არ ჰყავს, დღეს ლარი არის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, თავიდან ბოლომდე არის მიშვებული თავისუფალ ცურვაში, — ამბობს გიორგი ისაკაძე „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

1 დოლარი ბანკებში უკვე სამი ლარი ღირს. ოფიციალური კურსი კი 2.95 ლარითაა განსაზღვრული.

---

## აკაკი ცომაია: „ლარის გაუფასურება ცოტა ხანში შეიძლება წვიმასაც დავაბრალოთ“



ეკონომიკის ექსპერტი აკაკი ცომაია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ლარის გაუფასურების საგარეო შოკებითა და ქვეყანაში ტურისტული ნაკადის შემცირებით ახსნას „არაადეკვატურ შეფასებას“ უწოდებს.

როგორც ცომაიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, კობა გვენეტაძე სულ მცირე არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირდება.

— როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ამ ფაქტს მალავს და საინვესტიციო გარემოს გაუარესებას ლარის გაუფასურების მიზეზად არ მიიჩნევს, ეს სულ მცირე სწორი შეფასება არ არის. გამომდინარე აქედან, ძალიან რთულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტისგან ყველა მისი შემდგომი განცხადება დაიჯერო, როდესაც ის უცხოური ინვესტიციების შემცირების ფაქტორს არ ასახელებს. ის ასევე არ ასახელებს იმ ფაქტს, რომ 200 ათასს ლარამდე სესხის აღება უცხოურ ვალუტაში შეუძლებელია და ლარის გაუფასურებას ეს ფაქტორიც იწვევს. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თავის შეფასებებში ადეკვატურია. საგარეო შოკები ყოველთვის არსებობს. ის ადრეც არსებობდა, მაგრამ ლარი ადრე ასე არ მოძრაობდა, — განაცხადა აკაკი ცომაიამ.

მისივე შეფასებით, „სრული სისულელეა“ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ლარის გაუფასურების მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირება.

— ეს იმდენად აბსურდული არგუმენტია, რომ კომენტარის გაკეთაც კი უხერხულია. თუ საქმე ასე წავიდა, კურსზე ყველაფერი მოქმედებს, ცივი ქარიც კი. ასე, ლარის გაუფასურება ცოტა ხანში შეიძლება წვიმასაც და სხვა უამრავ რაღაცას დავაბრალოთ. ეს ხომ ძალიან არასერიოზულია. ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები სულ მიდის და პირველი ან მეორე შემთხვევა არ არის, როცა მიტინგები ტარდება. ადრე პოლიტიკური პროცესები არ მიდიოდა და რუსთაველზე საპროტესტო აქციები არ იყო?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ეს მიზეზი დავიჯეროთ, გავრილოვი საქართველოში ჩვენ ჩამოვიყვანეთ და პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე ჩვენ დავსვით?! ხელისუფლება ძალიან არაადეკვატურია! ლარის გაუფასურების საკითხზე მთავრობის განცხადებების შეფასება ძალზე უხერხულია, რადგან არათუ არაადეკვატურები არიან, არამედ ვიტყვი, რომ უვიცებიც არიან, — აღნიშნა აკაკი ცომაიამ.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ეროვნული ვალუტის გაუფასურებას საგარეო შოკებით და ქვეყანაში ტურისტული ნაკადის შემცირებით ხსნის. **bpn**

# „დაიმახსოვროს ივანიშვილმა, ვაჭრისგან დიქტატორი არ დადგება“

## ბეჟან ნათელაშვილი: „უკანალის დაცვის კომიტეტი თავისუფალ მედიას ვერ გააკონტროლებს“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ და რატომ ცდილობს ქართული მედიის შეზღუდვას, რატომ არ უქნია ვაჭრები ღმერთს დიქტატორებად, რატომ არ შეეგუებიან ქართველები მონობას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი **ბეჟან ნათელაშვილი** ესაუბრება.

***– რაინდმა ლევან ვასაძემ ხელისუფლებას მოსთხოვა, მკაცრად გააკონტროლე და დასაჯე მედიაო. ეს მისი ინიციატივაა თუ ვიღაცის პოზიცია გაახმოვანა?***

– ეს არის პირდაპირ პუტინის დაკვეთა. საქართველოს ახსოვს დიდი თურქობა, დიდი მონღოლობა, დიდი არაბობა. ახლა დიდი რუსობის ხანა დგას. ქართველი საზოგადოება და მედია ამას აპროტესტებს. ეს პროტესტი კრემლს არ მოსწონს.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, ეს უკმაყოფილება თავიანთ ვასალს გაახმოვანებინეს. ამისთვის იდეალური ვარიანტი იყო ბედნიერების წვერებიანი მებრძოლი ლევან ვასაძე. კრემლი ხან მისი და ხან ბიძინას პირით აჟღერებს იმას, რისი გახმოვანებაც უნდა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ესენი უწიგნურ და გაუნათლებელ ადამიანებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ.



***– მიიჩნევთ, რომ მედიის გაკონტროლების იდეა ვასაძეს მოსკოვმა გააჟღერებინა. საქართველოს ხელისუფლება უარს იტყვის ვითომ მედიის გაკონტროლებაზე?***

– უარს რატომ იტყვიან. ხელისუფლების ნარატივს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ვასაძისეული პოლიტიკა.

„ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ მედიაში სიძულვილის ენა არ უნდა იყოს. რას ნიშნავს საერთოდ სიძულვილის ენა? ბარემ შაჰ-აბასის და მურვან ყრუს სიძულვილიც აგვიკრძალონ.

მითხარით, როგორ ვუთხრა ვინმეს, რუსი ნუ შეგძულდება – ქართველებს გადაუღობეს სასაფლაო. აღდგომაზე კვერცხი ვერ გაუგორებიათ მაგ ოკუპანტების გამო საფლავზე.

მარტო უნდა შეიძულო კი არა, დალაპარაკებაც არ შეიძლება მაგათთან. მითხარით, რანაირად არ მძულდეს ოკუპანტი? მაშინ გიორგი ანწუხელიძე უნდა დავივიწყო და მასთან ერთად აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში დაღუპული გმირები.

ოკუპანტი რომ შევიყვარო, მაშინ ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობა და კონსტიტუციაც უნდა დავივიწყო, რასაც არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებ.

მოსკოვი პირდაპირ გვეუბნება – უარი თქვი სუვერენიტეტზე, გახდი ჩემი გუბერნია და ამის შემდეგ შენს ღვინოს, ბორჯომს და კიტრ-პომიდორს ჩემს ბაზარზე გაგაყიდინებო.

ახლა ვინც მედიის გაკონტროლებას და რუსეთის კრიტიკის აკრძალვას ითხოვს, არის მოღალატე და პუტინ-ივანიშვილის დავალებების შემსრულებელი.

***– თქვენი პარტია სულ აცხადებთ, რომ პოლიტიკაში მილიონერები არ უნდა იყვნენ. ლევან ვასაძეც მილიონერთა კასტიდან არის და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეგეც შემოვა პოლიტიკურ ბაზარზე.***

– ეგ დიდი ხანია, ივანიშვილს შემოყვანილი ჰყავს. უბრალოდ, ისეთი პოზა უჭირავს ვასაძეს, თითქოს პოლიტიკაში არ ერევა. სინამდვილეში ყველაფერში ერევა.

მას დაკავებული აქვს ქართველებისთვის სენსიტიური თემა – ის მამათმავლობასთან ბრძოლასთან ასოცირდება. ქართველები მართლმადიდებლები ვართ და ჩვენთვის ეს თემა მტკივნეული და მიუღებელია.



საუბედუროდ, მართლმადიდებლობა ვილაცებმა სექტას დაამსგავსეს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამას ხელი ზოგიერთმა სასულიერო პირმა შეუწყო.

ვდისტანცირდებით რა სექსუალური უმცირესობის თემისგან, ლევან ვასაძეს ამ თემით ათამაშებენ. მას და მის გარემოცვას უკანალის დაცვის კომიტეტი დავარქვი, რომელიც ქართულ მედიას ვერ გააკონტროლებს.

ბოდიში მომითხოვია მკითხველთან, მაგრამ თავში სხვა შეფასება არ მომივიდა. რამდენიმე კვირის წინ ერთი ამბავი ატყდა – თბილისში გეი-აღლუმი უნდა ჩატარდესო. ამ დროს რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობს დიდი ანტისაოკუპაციო მოძრაობა.

უკანალის დაცვის კომიტეტის წევრებმა ცალკე გამართეს აქცია, მეუკანელეებმა – ცალკე. ორივე ეს აქცია მოსკოვიდან იმართებოდა.

ჩვენ სექსუმცირესობებშიც არ გაგვიმართლა, ეგენიც პუტინის ვასალები არიან. ეროვნული განცდა არც მაგათ აქვთ.

***– მოდით, ისევ ვასაძეს დავუბრუნდეთ. ამბობთ, რომ ის უკვე პოლიტიკაშია.***

– კი და ნებისმიერ დროს შემოაჯლიგინებს მას ასპარეზზე, მაგრამ მგონია, რომ ტყუილად ირჯებიან.

ქართულ გენეტიკურ კოდში საკუთარი მიწა-წყლის დაცვის მძაფრი სურვილი დევს. როგორც კი ქართული სახელმწიფოს წინაშე ღია საფრთხე დგება, ეს გენეტიკური კოდი იღვიძებს.

***– ახლაც სერიოზული საფრთხის ქვეშ არის ჩვენი სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ამ კოდმა ვერ გაიღვიძა.***

– აუცილებლად გაიღვიძებს. საკუთარი მიწა-წყლის დაცვის დაუოკებელ სურვილს ვერაფრით გადაწონის ღვინის და მწვანილის რუსულ ბაზარზე გასაღების პრობლემა.

დაიმახსოვროს ყველამ, საქართველო თავის დამოუკიდებლობას ასე მარტივად არ დათმობს. ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იმდენი სისხლი დაიღვარა. მდინარეებად რომ წამოსულიყო, მთელ სამყაროს წალეკავდა.

***– ადრე სისხლს ვღვრიდით მტერთან ბრძოლაში, ახლა მტრის გინების უფლებაც არ გვაქვს. „ოცნების“ დაქცეული ლოგიკით, პუტინ ხუილოს რომ ვიძახით, მაგან გააუფასურა ლარი.***

– ლარის გაუფასურება 2013 წლიდან დაიწყო. თავიდან ეროვნული ვალუტის გაუფასურება გიორგი ქადაგიძეს დააბრალეს, ვითომ საბოტაჟს აწყობდა. ქადაგიძე კარგა ხანია წავიდა და ვიღაცისთვის ხომ უნდა დაებრალებინათ.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებს.

***– მიზანი რა არის?***

– ქვეყნის ჩამოშლა და ლარის რუბლად ქცევა. დღეს საქართველოს ფაქტობრივი მმართველი არის არა ივანიშვილი, არამედ ვლადიმერ პუტინი. ის მართავს ფაქტიურად ქვეყანას, აბა ბიძინამ ფულის თვლაც არ იცის.

***– ფულის თვლა რანაირად არ ეცოდინება, აბა მილიარდები როგორ იშოვა?***

– საყოველთაოდ ცნობილი თეზაა, რომ ფულის შოვნაში უწიგნურებს უმართლებს. ნებისმიერი ფსიქოლოგი ამას დაადასტურებს.

ამან კითხვაც არ იცის, თავად აღიარა – ცოლი მიკითხავს ნიცშეს ციტატებსო. ცოლის წაკითხულს უსმენს და მერე ეკამათება ნიცშეს.

***– მისი ნიცშესთან კამათი როდემდე გაგრძელდება?***

– მთავარია, ეგ ხელისუფლებას მოვაშოროთ და მერე თუნდა სულ ნუ დაასრულებს ნიცშესთან კამათს.

ბოლოს ეგ, მგონი, მხოლოდ პუტინის დავალებებს ასრულებს და უნდა, საქართველო საბოლოოდ გადააქციოს რუსეთის გუბერნიად, რასაც ვერ ეღირსება! ჩვენ დამოუკიდებლობას არ დავთმობთ!

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# უჩა ნანუაშვილი: „ოქრუაშვილის საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი“

## „სტრასბური პირდაპირ ამბობს, წინასწარი პატიმრობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენეთო“

იაგო ნაცვლიშვილი



„კურიერის“ ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების საქმეში მხოლოდ პოლიციელებისა და სპეცრაზმელების ჩვენებებია და სამართალდამცავი სისტემა მხოლოდ ამას დაეყრდნო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენებები იდენტურია.

რას ნიშნავს ეს, არიან თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი და სხვა დაპატიმრებულები პოლიტპატიმრები, რას ელოდება სააპელაციო სასამართლოსგან? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** საუბრობს.

***– ბატონო უჩა, არიან თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი და სხვა დაპატიმრებულები პოლიტპატიმრები?***

– ყველა კონკრეტული საქმე ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად უნდა იყოს შესწავლილი და შეფასებული და ყველა შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული. ის, რომ ოქრუაშვილის შემთხვევაში ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია. თუნდაც ის, როდის დაიწყო მის წინააღმდეგ გამოძიება და ჩვენებები. ეს მოხდა 23 ივლისს, მაშინ, როდესაც 20 ივნისის მოვლენებიდან გასულია 1 თვეზე მეტი და არც ერთი პოლიციელისთვის არ ჩამოურთმევიათ ჩვენება საგამოძიებო ორგანოებს. ეს არა მხოლოდ კითხვებს აღძრავს, არამედ შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ ნათელია. კითხვა ჩნდება იმაზეც, რატომ მოხდა ამ საქმის წარმართვა დაგვიანებით.

***– რატომ?***

– სავარაუდოდ, სწორედ „რუსთავი 2“-ის საქმეს უკავშირდება და ამ თემაზე ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს. მით უმეტეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი წასული იყო საქართველოდან და მან განაცხადა საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. უფრო მეტიც, მას გაცხადებული ჰქონდა წინასწარ საქართველოდან გამგზავრების თაობაზე. თუ კითხვები არსებობდა მისი მისამართით სამართალდამცავი უწყებების მხრიდან, დაეკითხათ.

ანუ, არსებობს სერიოზული კითხვის ნიშნები, რომელზეც რეალურად არანაირი პასუხი არ არის და პირიქით, უფრო მეტად ამყარებს ნეიტრალური მოქალაქის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმე გვაქვს შერჩევითი სამართლის მიმართულებით და ფაქტობრივად მის მიმართ შერჩევითი სამართალი ხორციელდება.

თუნდაც მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე შერჩევითი სამართალია, მაშინ როდესაც დავინახეთ, რომ სხვა შემთხვევაში, სხვა პოლიტიკური ლიდერის მიმართ სხვა ღონისძიება იყო გამოყენებული სამაჯურის სახით. მაშინ, როცა ოქრუაშვილის მიმართ პატიმრობა გამოიყენეს, როცა არ გვინახავს რაიმე ისეთი კადრი, რომელიც პირდაპირ მეტყველებდა, რომ ის რამე არეულობაში მონაწილეობდა და რაიმე ძალადობრივ მოქმედებაზე კადრი არ ყოფილა გავრცელებული.

***– „კურიერმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლითაც ირკვევა, რომ სამართალდამცავი უწყებები დაეყრდნენ მხოლოდ პოლიციელებისა და სპეცრაზმელების ჩვენებებს, რომლებიც იდენტურია. ძველი პრაქტიკა ხომ არ გახსენდებათ, რაზეც მაშინდელი ოპოზიცია საყვედურობდა ხოლმე ხელისუფლებას?***

– სამწუხაროდ, ეს ასეა და ერთი ერთზე ემთხვევა ეს ყველაფერი, როდესაც მხოლოდ პოლიციელების და სპეცრაზმელების ჩვენებებია საქმეში და როცა არ ხდება საქმის შესწავლა, არ ხდება ინფორმაციის გადამოწმება. იგივე ნეიტრალური მოწმეები არ ფიგურირებს საქმეში, არ არსებობს ვიდეოჩანაწერები ან სხვა მტკიცებულებები და მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს დაეყრდნო სასამართლო. მით უმეტეს, იმ ფონზე, რა სისტემაც არის შექმნილი ქვეყანაში და ამ თემაზე ჩვენ ადრეც არაერთხელ გვისაუბრია.

ეს ყველაფერი კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმასთან დაკავშირებით, რომ რეალურად აქ საქმე სხვა რამესთან გვაქვს. აქვე ისევ იმ თემას დავუბრუნდები, თუ რატომ უნდა დაეკითხათ პოლიციელები დაგვიანებით ამ საქმეზე? იგივე სხვა ლიდერების მიმართ მაშინვე განხორციელდა გარკვეული საგამოძიებო ქმედებები. რატომ არ მოხდა მაშინვე იგივე ოქრუაშვილის დაკითხვა? მით უმეტეს, მას ჰქონდა ეს მიმართვა გაკეთებული საგამოძიებო ორგანოების მისამართით საქართველოდან გამგზავრების წინ.

არაფერი არ მომხდარა მაშინ, იგივე საქართველოდან წასვლის მხრივ მისთვის ხელი შეეშალათ. ხომ შეიძლებოდა საერთოდ არ ჩამოსულიყო საქართველოში? თუ კითხვები არსებობდა მისი მისამართით გამოძიების მხრიდან, მაშინ რატომ არ შეუშალა ამაში ხელი. ეს აჩენს ეჭვს, რომ შესაძლოა ისინი საერთოდ არ ფიქრობდნენ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას.

***– სააპელაციო სასამართლოსგან რა მოლოდინი გაქვთ? დატოვებს პატიმრობაში?***

– სააპელაციო სასამართლოსგან არანაირი მოლოდინი არ მაქვს. იმიტომ, რომ ეს პრაქტიკა, სამწუხაროდ, წლებია გრძელდება. მე არანაირი იმედი არ მაქვს იმის, რომ სასამართლო რაიმე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას მიიღებს. ზოგადად ეს პროცესი აქ რომ არ დამთავრდება, ვიცი. იმიტომ, რომ ეს საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი. ისევე, როგორც სხვა არაერთი დაკავებულების საქმე. მით უმეტეს, როდესაც საუბარია წინასწარ დაკავებაზე.

არსებობს ევროსასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, სადაც სტრასბურის სასამართლო პირდაპირ ამბობს, რომ წინასწარი პატიმრობის გამოყენება, როგორც აღკვეთი ღონისძიების სახე, უნდა იყოს ძალიან იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებზე უნდა იყოს გამოყენებული. ჩვენთან კი ყველა შემთხვევაზე მისი გამოყენება ხდება ფაქტობრივად. ახლა დავინახეთ, რომ 20-მდე ადამიანია დაკავებული და ფაქტობრივად ყველას წინასწარი პატიმრობა მიესაჯა. ეს სწორედ ამ სტანდარტის დარღვევაა.

ამაზე იყო საუბარი მერაბიშვილის საქმეზეც სტრასბურის მხრიდან და მანამდეც არაერთ საქმეზე იყო საუბარი, რომ წინასწარი პატიმრობის გამოყენება გამონაკლისს შემთხვევებში უნდა იყოს გამოყენებული. ჩვენთან კი ამის აქტიურად გამოყენება ხდება.

***– თქვით, რომ ეს საქმე აქ არ დამთავრდება. მხედველობაში ის გქონდათ, რომ სტრასბურამდე წავა ეს საქმე და ამის მოლოდინი გაქვთ?***

– არა, მე ვფიქრობ, რომ მანამდეც მოხდება კონკრეტული შედეგის მიღწევა, მაგრამ თუ საქმე სტრასბურამდე წავიდა, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ საქმეს სერიოზული საფუძველი აქვს იმაზე, რომ რეალურად პრეცედენტი შექმნას ქვეყნის იმ სამართალდამცავი სისტემის ქმედებების წინააღმდეგ, რომლითაც სამართალდამცავი სისტემა სცდება კანონის ჩარჩოებს.

ჩვენ აქ ვსაუბრობთ იმაზე, რომ პოლიტიკური ნიშნით ხდება ადამიანების დევნა სავარაუდოდ.

ამ საქმეებმა ასეთი ეჭვები კიდევ უფრო მეტად გააჩინა.

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ძმისშვილის დაკავებით სხეულიდან გული ამომაცალეს“

## „ყველა უკანონოდ დაპატიმრებული ჩემი ძმა და ჩემი შვილია“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ითხოვს ივანიშვილთან შეხვედრას, ვინ ცდილობს პანკისში არეულობის მოწყობას, ვის და რატომ უნდა მისი განადგურება, მოდის თუ არა პოლიტიკაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ შვილმოკლული მამა **მალხაზ მაჩალიკაშვილი** ესაუბრება.

***– რამდენიმე დღის წინ დააკავეს თქვენი ძმისშვილი მორის მაჩალიკაშვილი. თქვენი აზრით, ეს უშუალოდ თქვენ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებაა თუ იმ დაკავებების სერიის ნაწილია, რომელიც გავრილოვის სისხლიანი ღამის შემდეგ დაიწყო ქვეყანაში?***

– ის, რაც ახლა ქვეყანაში ხდება, არის ტერორი და რეპრესიები. ტერორს მთელი ქვეყნის წინააღმდეგ ახორციელებენ.

ერთ წელიწადში საქართველოში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ახლა რომ ვთქვა, 2020 წლისთვის პოლიტიკურ ველს ასუფთავებენ, მართალი არ ვიქნები. პოლიტიკურ ველს კი არ ასუფთავებენ, არამედ წინასწარ იღებენ გარანტიებს – იმ ადამიანებს ამწყვდევენ ციხეში, ვინც მათ არჩევნების გაყალბებაში ხელს შეუშლის.

რაც შეეხება ჩემს ძმისშვილს, მორისს, ის ჩემი თემირლანის ადგილზე მყავდა. თემირლანი ამ ხელისუფლებამ მხეცურად მომიკლა. ამ ამბავმა გამანადგურა. მორისის დაკავებით კი „ოცნებამ“ სხეულიდან გული ამომაცალა. მორისის დაკავება არის პირდაპირი შურისძიება ჩემზე.

### „ჩემი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენისკენ არის მიმართული და არ დავუშვებ, რომ ჩემმა ბრძოლამ ქართველი ხალხი რამენაირად დააზარალოს“

***– ვინ და რისთვის იძია თქვენზე შური? თქვენ შვილი მოგიკლეს და შვილმოკლულ მამაზე კიდევ რატომ უნდა იძიონ შური?***

– იცით, რომ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, კარვების აქციას ვმართავთ. ლამის ერთი წელია, მხეცურად მოკლული თემირლანის საქმის გამოძიებას ვითხოვთ.

ხელისუფლებაში ჩათვალეს, რომ 20-21 ივნისის სისხლიანი ღამის შემდეგ, კარვების აქციაც დაიშლებოდა. ჩემი აქცია ყელში აქვთ გაჩხერილი და რუსთაველზე კარვების დანახვა ამათთვის მეხის დაცემასავით არის. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ მთელი ხელისუფლება ზანზარებს თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის გამო.

რადგან ეს არ გაუვიდათ და იმ სისხლიანი დარბევის შემდეგ ხელმეორედ დავუდგი კარავი, ჩემზე შური იძიეს – ციხეში გამოკეტეს ჩემი ძმისშვილი. რომელიც ჩემი შვილობილი და იმედია.

მორისის დაჭერით გული ამომაცალეს. მათი მხრიდან ამის გაკეთება იყო საკონტროლო ტყვიის სროლა, ეგონათ, საბოლოოდ გამანადგურებდნენ, მაგრამ ვერ მივართვი.

***– 20-21 ივნისის ღამე ახსენეთ და იმ ღამეს თქვენც მოგხვდათ ტყვია, საავადმყოფოშიც იყავით გადაყვანილი. ახლა როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?***

– გულამოცლილი ვარ, მაგრამ ბრძოლას ვაგრძელებ. იმ სისხლიან, თვალების დათხრის ღამეს თითქმის ყველა გაანეიტრალეს, ვინც მე მიცავდა. ორი ახლობელი მედგა გვერდზე, ერთი მორისი იყო, ორივეს ტყვიები დაუშინეს. როგორც კი ისინი წაიქცნენ, მერე მე მესროლეს პირდაპირ თავში.

საავადმყოფოში გადამიყვანეს და ნაკერები დამადეს. ყველას 3 დღეში მოხსნეს ნაკერი, მე მხოლოდ 10 დღის შემდეგ – იმდენად ღრმად შემავალი ჭრილობა იყო.



### „ხელისუფლებას ჩემი განადგურება უნდოდა, მაგრამ ვერ მივართვი“

***– არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ არის სერიოზული ეჭვები, რომ ვილაცები შეგნებულად ცდილობენ, პანკისის ხეობა აუმხედრონ ქართულ სახელმწიფოს. ბოლო დროს პანკისის მიმართულებით რამდენიმე სერიოზულ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. თქვენ რას გვეტყვით ამ ვერსიაზე?***

***– ამასთან დაკავშირებით სრულ სიმართლეს გეტყვით და რასაც ვიტყვი, ამაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ.***

თემირლანის მკვლელობის მერე რაც გადავიტანე, კარგად გახსოვთ. არანაკლებ განიცადეს ეს ამბავი ხეობაშიც. ერთი სიტყვა რომ მეთქვა, მთელი პანკისი თბილისში ჩამოვიდოდა და აქციას გამართავდა. გარკვეული ძალები ცდილობდნენ კიდევაც ამის გაკეთებას. უნდოდათ, რომ ისინი რამენაირად თბილისში ჩამომეყვანა, რათა შემდეგ პროვოკაცია მოეწყოთ. ისე დაეხატათ სურათი, რომ ქისტები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდიოდნენ.



ძალიან მეშინოდა, ასეთი რამ არ მომხდარიყო. დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმისთვის, რომ ქისტები თბილისში არ ჩამოსულიყვნენ აქციის მოსაწყობად.

იგივე ხდება ჩემი მორისის დაკავებითაც. მიდის რაღაც მოძრაობები, რომ ამ ფაქტზე პანკისიდან წამოვიდეს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლა.

***– ზეწოლაში რას გულისხმობთ?***

– გზის გადაკეტვები და ასე შემდეგ. მერე ამას პროვოკაცია მოჰყვებოდა. ეს ზოგიერთის ინტერესში იყო, მაგრამ ვერ მივართვი. არ დავუშვებ, რომ ქისტები ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს დაუპირისპირდნენ.

ჩემი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენისკენ არის მიმართული და არ დავუშვებ, რომ ჩემმა ბრძოლამ ქართველი ხალხი რამენაირად დააზარალოს.

აქვე პირობას გაძლევთ, რომ მხოლოდ კანონის ძალით დავამარცხებ ამ ხელისუფლებას. აუცილებლად დავაჩოქებ ივანიშვილის ბოროტ, სისხლიან სისტემას.

***– ივანიშვილი ახსენეთ და ადრე თქვენ მასთან შეხვედრას ითხოვდით. ისევ გაქვთ „ოცნების“ ლიდერთან შეხვედრის სურვილი?***

– მასთან შეხვედრას ახლაც ვითხოვ, საშუალება თუ მომეცემა, ახლავე დაველაპარაკები მას.

***– რაზე აპირებთ მასთან საუბარს?***

– უსამართლობაზე, მინდა ვუთხრა, როგორ უსამართლოდ მექცევა მისი ბოროტი, სისხლიანი ხელისუფლება.

***– თქვენი აზრით, მან არ იცის, რაც მალხაზ მაჩალიკაშვილის თავს ხდება?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ამ კონკრეტულ საქმეში ჩახედული არ არის. დანარჩენი ქაოსი და უბედურება რაც არის, ამის შესახებ ინფორმირებულია. მეტიც, ეს ყველაფერი მისგან მოდის.

როცა ადამიანებს რამსები ერევათ და ძალაუფლების დაკარგვის ეშინიათ, ისინი კონტროლიდან გამოდიან. კონტროლიდან გამოსვლას გაბოროტება მოსდევს. როდესაც ადამიანი გაბოროტდება, მისი საქმე უკვე წასულია.

დღეს „ოცნება“ ძალაუფლების დაკარგვის შიშით არის გაბოროტებული და ის ყველაფერზე მიდის.

***– თქვენ გვერდით ხშირად არიან პოლიტიკოსები, ზოგჯერ თქვენც მიდიხართ მათთან. შემთხვევით პოლიტიკაში ხომ არ აპირებთ მოსვლას?***

– პოლიტიკაში ჩემს შესაძლო მოსვლაზე ძალიან ბევრს საუბრობენ. ძალიან ბევრი ადამიანი მთხოვს და მირჩევს, რომ პარტია შევქმნა, ან რომელიმე პარტიაში შევიდე. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

***– რატომ ხართ ამის წინააღმდეგი?***

– არ ვარ მე ის ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში გამოდგება. მე ჩემი გზა და ჩემი ბრძოლა მაქვს. ის ბრძოლა უნდა მივიყვანო ბოლომდე. ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან მხოლოდ მაშინ გამოვალ, როცა ვნახავ, რომ ჩემი შვილის მკვლელი კანონმა დასაჯა.

ჩემ გარდა, კიდევ ბევრი ადამიანია დღეს ჯოჯოხეთში. სამწუხაროდ, მთელი ქვეყანაა დღეს ჯოჯოხეთში. მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკური ჯოჯოხეთი უნდა დავამთავროთ, მაგრამ პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის. მე მებრძოლი ადამიანი ვარ და ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. ვიბრძოლებ კიდევაც.

ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ყველა ის ადამიანი გაათავისუფლონ, რომლებიც გავრილოვის ღამეს დააკავეს. ყველა უკანონოდ დაპატიმრებული ჩემი ძმა და ჩემი შვილია.

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტი: „დღეს საქართველო საგარეო შოკს გადის“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ეროვნული ვალუტის გაუფასურებას საგარეო შოკებით და ქვეყანაში ტურისტული ნაკადის შემცირებით ხსნის.

– დღეს საქართველო საგარეო შოკს გადის. საქართველოში შემოდინებების მოსალოდნელი რაოდენობა შემცირებულია. ეს რიცხვებითაც დასტურდება, რომ საქართველოში შემოვიდა იმაზე უფრო ნაკლები ტურისტი, ვიდრე სხვა შემთხვევაში შემოდიოდა. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს გაცვლით კურსზე. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან მტკივნეული პროცესი, აბსოლუტურად მესმის ყველასი, ვინც ამის გავლენას განიცდის.

რადგანაც შოკები ყოველთვის არის მოსალოდნელი მიმართულება პატარა ზომის ღია ეკონომიკისათვის, მიმართულება რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს არის დედოლარიზაცია. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი არის ეროვნულ ვალუტაში, სესხები აღებული უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში. ეს არის ყველაზე კარგი პრევენცია, რომ ყველაზე ნაკლები დანაკარგებით მოხდეს გადატანა ასეთი სიტუაციის.

საქართველომ ერთხელ უკვე გაიარა ასეთი პერიოდი, ეს იყო 2014-2016 წლები, ამ პერიოდშიც კი საქართველოში იყო ზრდა და უმუშევრობა ქვეყანაში არ გაზრდილა, – განაცხადა გვენეტაძემ.

ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, იმ შემთხვევაში თუ დაინახავენ, რომ კურსის განვითარება გავლენას ახდენს ინფლაციაზე, ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს გამოიყენებს.

**bpn**

# მშენებლობებზე ნებართვების გაცემა გაიზარდა



მშენებლობებზე ნებართვების გაცემა გაიზარდა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2019 წლის იანვარ-ივნისში გაცემულია 4.991 ნებართვა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,0 პროცენტით მეტია. მიმდინარე წლის 1-ელ 6 თვეში ნებართვები 3520,9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზეა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17,5 პროცენტით მეტი) გაცემული.

„საქსტატის“ ცნობით, ნებართვების 71,6 პროცენტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 48,8 პროცენტი თბილისზე, 11,7 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე და 11,1 პროცენტი – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე ნაწილდება.

„აღსანიშნავია, რომ 2019 წლის იანვარ-ივნისში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, 36,4 პროცენტი ქ. თბილისზე, 15,0 პროცენტი – კახეთის რეგიონზე, ხოლო 9,5 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე ნაწილდება.

სულ, 2019 წლის იანვარ-ივნისში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 1.370,6 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წელთან შედარებით 47,6 პროცენტით მეტი) 1236 ობიექტი (წინა წელთან შედარებით 6,3 პროცენტით მეტი), – აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

# „დაიმახსოვროს ივანიშვილმა, ვაჭრისგან დიქტატორი არ დადგება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მესმის, რომ დღეს ძალიან ცუდ დღეშია ქვეყანა, მაგრამ საქართველო არაერთხელ დაცემულა ასე და ამაზე უარესადაც, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ჩვენ თავი გადაგვირჩენია.

ეს იმ გენეტიკური კოდის დამსახურებაა, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ. ასე რომ, ივანიშვილს ტყუილად აქვს რაღაცის იმედი. ჩვენ აღმაშენებლის ჩამომავლები ვართ და აუცილებლად მოვიგებთ დიდგორს.

***– აღმაშენებელი მართლა საამაყო წინაპარია, მაგრამ უფრო ახლო წარსულში ჩვენი წინაპრები სერგო ორჯონიკიძეები და ფილიპე მახარაძეები იყვნენ.***

– სერგოსა და მახარაძეზე უფრო ადრე შადიმანი გვყავდა, უფრო ადრე ანდუყაფარ ამილახვარიც გვყავდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას ყორღანაშვილები არასდროს აკლდა, მაგრამ ჩვენში საღი აზრი ყოველთვის იმარჯვებდა და ახლაც ასე იქნება.

***– თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ გენეტიკური კოდი. ახლა ხმლის ქნევას არავინ დაიწყებს, მაგრამ ეს კოდი ალბათ ხალხმა არჩევნებზე უნდა გამოამჟღავნოს და კარტოფილ-ხახვზე აღარ გაიყიდოს.***

– ეს ასეც იქნება, თუმცა მეეჭვება, ამ ხელისუფლებამ რაიმე სახის არჩევანი ჩაატაროს. რასაც არჩევნები ჰქვია, „ქართულმა ოცნებამ“ ის დიდი ხნის წინ დაასამარა.

***– თქვენი აზრით, არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს?***

– არჩევნების გზით უნდა ვიაროთ, სანამ საბოლოოდ არ დავრწმუნდებით, რომ „ოცნება“ არჩევნების გაყალბებას აპირებს. როცა ეს დამტკიცდება, დარწმუნებული ვარ, რომ რუსთაველი გადაივსება და ვაჭრების დიქტატურა დასრულდება.

მინდა ყველამ და, პირველ რიგში, ივანიშვილმა იცოდეს – ვაჭრისგან დიქტატორი არ გამოვა. როგორც კი ვაჭარი დაინახავს, რომ მის ქონებას და ანგარიშებს საფრთხე დაემუქრება, დაუყოვნებლივ მოუსვამს ქვეყნიდან და თხუნელასავით მიწისქვეშეთში ჩაძვრება.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57.

# სოხუმის საჰაერო სივრცეს როსტოვის საჰაერო სადისპეტჩერო გააკონტროლებს

ოკუპირებულ აფხაზეთში იმედოვნებენ, რომ რეგულარული რეისებისთვის სოხუმის აეროპორტის გახსნის შემთხვევაში, მგზავრთა ნაკადი დიდი იქნება – განაცხადა არაღიარებული რესპუბლიკის ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული სამოქალაქო ავიაციის რეგულირების განყოფილების უფროსმა ზაურ ეშბამ. „პრიორიტეტული მიმართულებები იქნება მოსკოვი, როსტოვი, რუსეთის ევროპული და აღმოსავლეთ ნაწილი. ჩვენი გათვლებით მგზავრთა ნაკადი იქნება საკმაოდ დიდი და ეს აეროპორტს მოგებაზე მუშაობის საშუალებას მისცემს“ – აცხადებს ეშბა.




მისივე მტკიცებით, ახალი აეროპორტი აფხაზეთსა და რუსეთს შორის სახმელეთო საზღვრის განტვირთვას შეუწყობს ხელს.

სოხუმის აეროპორტი აშენდა 1960-იან წლებში. ის მდებარეობს სოხუმიდან 18 კილომეტრში, დასახლება ბაბუშერაში. 90-იან წლებამდე აეროპორტიდან სრულდებოდა პირდაპირი რეისები ყოფილი სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქებში, აქვე მოქმედებდა რამდენიმე სავერტმფრენო ხაზი, რომელიც აკავშირებდა სოხუმს დეფაქტო აფხაზეთის მთიან რეგიონებთან. ზაფხულში აეროპორტი ემსახურებოდა დღე-ღამეში 5000 მგზავრს, ზამთარში 1000-მდე. ომის დროს აეროპორტის ორივე შენობა სერიოზულად დაზიანდა, ხოლო ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები დაინაღმა, საბოლოოდ კი, 1993 წელს ის დაიხურა.

2000 წლისთვის მოხერხდა ბილიკების განაღმვა და აეროპორტის შენობის განახლება. ამჟამად ის გამოიყენება შიდა სავერტმფრენო მარშრუტებისთვის და სხვადასხვა ტიპის სპეცრეისების შესასრულებლად, ძირითადად, გაეროს და რუსეთის.

გასულ კვირას მთავრობაში განიხილეს აეროპორტის რეგულარული მუშაობის აღდგენის პერსპექტივები, ხოლო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხელი მოაწერა რამდენიმე გადაწყვეტილებას. მინისტრებმა დაამტკიცეს კანონი სოხუმის აეროპორტისთვის „ერთობლივი ბაზირების აეროდრომის სტატუსის“ მინიჭების თაობაზე. ერთობლივი ბაზირება იძლევა აეროპორტის გამოყენების საშუალებას სამოქალაქო და სამხედრო მიზნებისთვის. გარდა ამისა, კანონი ხსნის სოხუმის აეროპორტს სამაშველო, სანიტარული და სხვა ტიპის ფრენებისთვის. მუშაობა ამ პროექტზე 2018 წელს დაიწყო.

– მოწვეულ იქნა რუსი ინვესტორი, რომელიც დათანხმდა საპროექტო სამუშაოების ჩატარებას ამ ობიექტზე. მომავალი თვისთვის ჩვენ უკვე გვექნება საპროექტო დოკუმენტაცია და იმ დროისთვის ჩვენ უნდა მივანიჭოთ აეროპორტს შესაბამისი ატრიბუტები, – განაცხადა დე ფაქტო აფხაზეთის პრივატიზაციის და სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ფიფიამ.

მისი თქმით, გათვლა ეხება არა მხოლოდ სამგზავრო, არამედ სატვირთო გადაზიდვებსაც. აეროპორტის სავარაუდო რენტაბელურობა შეადგენს 1988 წლის მაჩვენებლის 30%-ს, ხოლო მგზავრნაკადი მიუახლოვდება საბჭოთა დროის დონეს, საუბარია, დღე-ღამეში 3000-დან 5000-მდე მგზავრზე.

მეორე დადგენილება გულისხმობდა სოხუმის აეროპორტისთვის კოდის მინიჭებას – ამის გარეშე შეუძლებელია რეგულარული საერთაშორისო რეისების განხორციელება და ზოგადად, სამოქალაქო ავიაციის განვითარება.

რუსეთსა და დეფაქტო აფხაზეთს შორის 2010 წლის 17 თებერვალს ხელმოწერილი საჰაერო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის შეთანხმების და ასევე საერთაშორისო ნორმების და პრინციპების საფუძველზე, სოხუმის აეროპორტს მიენიჭა 4-ასოიანი კოდი URAS.

ზაურ ეშბას თქმით, ეს ძველი კოდია, რომელიც ჰქონდა სოხუმის აეროპორტს ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს. მისი მტკიცებით, გაიცემა არა სახელმწიფო, არამედ ტერიტორიული პრინციპით.

როსტოვის საჰაერო ზონა მისცემს დეფაქტო აფხაზეთს ფრენების მართვის ცენტრის და სადისპეტჩერო სამსახურის გამოყენების შესაძლებლობას.

ყველანაირი ეჭვების გასაფანტად, დეფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება არანაირად არ ზღუდავს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ხოლო როსტოვის ზონაში ყოფნა გააადვილებს ფრენების აღდგენას როგორც ადმინისტრაციული, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. აეროპორტის ამუშავების ზუსტი თარიღი ჯერაც არაა დადგენილი. ზურაბ ეშბა იმედოვნებს, რომ პროექტის რეალიზაციის შემდეგ აეროპორტი განაახლებს მუშაობას.

– 25 წელია მეკითხებიან – „ამბობენ, რომ აეროპორტი მალე დაიწყებს მუშაობას. ეს სიმართლეა?“. ყველას ვპასუხობ – „პირველად მესმის. ჯერ არა, – განაცხადა მან. მისი თქმით, საუბრები ფრენების აღდგენაზე იყო არაერთხელ, თუმცა, რეალური ნაბიჯები ამ მიმართულების არ გადადგმულა. არ იყო ხელმოწერილი არც ერთი შესაბამისი შეთანხმება.

– მუშაობა დღევანდელ პროექტზე დაიწყო ჯერ კიდევ 1 წლის წინ. აფხაზეთში ჩამოდიან სპეციალისტები, რომლებიც სწავლობენ ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მდგომარეობას და საბოლოოდ შეაფასებენ საჭირო ინვესტიციების მოცულობას. ამის შემდეგ დაიწყება კონკრეტული მუშაობა საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე, – ამბობს ეშბა.

რუსულ ზონაში შესვლა მისცემს სოხუმის აეროპორტს საერთაშორისო აკრძალვის დაძლევის საშუალებას მხოლოდ ერთი მიმართულებით – რუსეთში. ყველა სხვა ქვეყანა რჩება დაკეტილი დეფაქტო აფხაზეთისთვის.

**კომერსანტი**

# ირაკლი კოვზანაძე: „საქართველოს მონეტარულ ხელისუფლებას აქვს ყველა ბერკეტი, რათა უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა“

საგარეო შოკი საქართველოს საგადასახდელო ბალანსსა და შესაბამისად ლარის კურსზე ნეგატიურად აისახა, – განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ, პარლამენტში ჟურნალისტებთან.

მისი თქმით, სავაჭრო დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის მემკვიდრეობითი პრობლემაა, რომელიც, თავის მხრივ, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის გენერირებას ახდენს. აღნიშნული დეფიციტი ტურიზმიდან და უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისგან გადმორიცხული ფულადი გზავნილებით (რემიტენსებით) ბალანსდება.

– გასულ წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 3.2 მლრდ დოლარს გადააჭარბა, საიდანაც 650 მილიონი ევრო რუს ტურისტებზე მოდიოდა. საავიაციო ემბარგოს დაწესება და რუსეთიდან ტურისტების ნაკადის მკვეთრი შემცირება საქართველოს ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახა. უფრო მეტიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, ტურისტების რიცხვი არა მხოლოდ რუსეთიდან, არამედ დსთ-ის სხვა ქვეყნებიდანაც შემცირდა, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.



მისი თქმით, თვის ბოლოსთვის ასევე დამახასიათებელია კონტრაგენტების მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვები საკუთარი ვალდებულებების დასაფარად, რამაც, ასევე შესაძლოა, გაზარდა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა.

– ჩვენ გვაქვს მცურავი სავალუტო კურსი, რომელიც ასრულებს ამორტიზატორის ფუნქციას და შთანთქავს საგარეო შოკებისგან გამოწვეულ შედეგებს. თუ ლარის გაუფასურება ინფლაციაზე აისახება, ეროვნული ბანკი ვალდებულია, ჩაერიოს და მას აქვს ინსტრუმენტები ინფლაციის დასათრგუნად, მათ შორის, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის აწევის, სავალუტო ინტერვენციებისა თუ სხვა ღონისძიებების მეშვეობით. ის დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით, შესაბამისად, ამ ღონისძიებებს გამოიყენებს მაშინ, როცა საჭიროდ ჩათვლის. საქართველოს მონეტარულ ხელისუფლებას, ეროვნულ ბანკს აქვს ყველა ბერკეტი, რათა უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

ამავე დროს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ეროვნულ ბანკს ბიზნესსა და მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციისა და „ვერბალური ინტერვენციებისკენ“ მოუწოდა.

**კომერსანტი**

# ცემენტის 28 სახეობიდან ევროპული სტანდარტი მხოლოდ 9-მ დააკმაყოფილა

2019 წლის ივლისის ფარული ტესტირების შედეგების მიხედვით, ადგილობრივად წარმოებული შეფუთული ცემენტის ოცდარვა (28) სახეობიდან მხოლოდ 6 კომპანიის ცხრა (9) პროდუქტმა (32%) დააკმაყოფილა ევროპული EN197-1 სტანდარტი. ცხრა (9) ნიმუშიდან ოთხი (4) საქართველოს ცემენტის ასოციაციის წევრთა პროდუქციაა. შემოწმებული ოცდარვა (28) ნიმუშიდან ცხრამეტმა (19) ვერ გადალახა ბარიერი, აქედან ხუთმა (5) კი 28 დღის შემდეგ, შეფუთვაზე დატანილ მაჩვენებელზე კრიტიკულად დაბალი შედეგი აჩვენა (<10 მპა).



აღსანიშნავია, რომ იმ ექვსი (6) კომპანიიდან, რომელთა პროდუქციამაც გადალახა სტანდარტით გათვალისწინებული ბარიერი, 3 მათგანი ცემენტის წარმოებისთვის მოიხმარს ადგილობრივად წარმოებულ კლინკერს, ხოლო მათი წილი ჯამური წარმოებული ცემენტის მოცულობის 70% შეადგენს, ხოლო დანარჩენი ცხრამეტი (19) პროდუქტი, რომლებმაც შეფუთვაზე დატანილ მაჩვენებლებზე დაბალი შედეგი აჩვენეს, სრულად წარმოებულია იმპორტირებული კლინკერით.

2019 წლის ივლისის ფარული ტესტირების შედეგებმა აჩვენა, რომ ცემენტის მწარმოებელი კომპანიების გარკვეულმა ნაწილმა 2019 წლის იანვრის ტესტირების შემდეგ გააუარესა პროდუქციის ხარისხი. კერძოდ, იანვრის თვეში შემოწმებული ოცდაცხრა (29) ნიმუშიდან თხუთმეტმა (15) გადალახა სტანდარტით გათვალისწინებული ბარიერი (52%), ხოლო შემოწმებული ოცდაცხრა (29) ნიმუშიდან თოთხმეტმა (14) ვერ გადალახა, აქედან შვიდმა (7) კი შეფუთვაზე დატანილ მაჩვენებელზე კრიტიკულად დაბალი შედეგი აჩვენა (<15 მპა).

2019 წლის ივლისში, საქართველოს ცემენტის ასოციაციის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა ზედამხედველობის სააგენტოს ხელმძღვანელობასთან, სადაც სააგენტოს გადასცეს კვლევის შედეგები და ასევე გააცნეს საქართველოს ცემენტის ბაზარზე არსებული სავალალო მდგომარეობა. შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 15 იანვრიდან ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ახალი ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდა. საქართველოს ცემენტის ასოციაცია იმედოვნებს, რომ სააგენტო იქნება აქტიური და შეურიგებელი უხარისხო პროდუქციასთან ბრძოლის საკითხში.

ცნობისათვის, 2017 წლიდან საქართველოს ცემენტის ასოციაციის ინიციატივით, საქართველოს ცემენტის ღია ბაზარზე ხელმისაწვდომი შეფუთული ცემენტის 7 ფარული ტესტირება ჩატარდა. 242 შემოწმებული შეფუთული ცემენტიდან, მხოლოდ 33% აკმაყოფილებს სტანდარტს EN197-1, დანარჩენი საგანგაშო 67%-მა ვერ გადალახა საჭირო ბარიერი. საქართველოს ცემენტის ასოციაციის მიზანია ადგილობრივი ცემენტის მწარმოებლების ხელშეწყობა, რათა აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქცია და ამ მხრივ მაქსიმალური გამჭვირვალობის შექმნა ქართველი მომხმარებლისთვის.

**კომერსანტი**

# საქართველოში ხორცი გაძვირდა, — რა პროგნოზი აქვთ ფერმერებს

საქართველოში საქონლის ხორცი 2 ლარით გაძვირდა. თბილისის აგრარულ ბაზრებში თუ ერთი თვის წინ ერთი კილოგრამი საქონლის ხორცის ყიდვა 18 ლარად იყო შესაძლებელი, ახლა 20 ლარი ღირს. უფრო ძვირი ღირს ხორცი უბნის მაღაზიებში, დაახლოებით 21 ლარი. ფერმერები ამბობენ, რომ ფასის ზრდა საქონლის ხორცის დეფიციტმა გამოიწვია. დეფიციტის მიზეზად კი ცოცხალი საქონლის ქვეყნიდან გაყვანას ასახელებენ.

საქონლის ხორცის კიდევ უფრო გაძვირებას ვარაუდობს ფერმერი ბექა გონაშვილი. მისივე თქმით, პრობლემას ქმნის ადგილობრივი წარმოების არქონა, რაც მომავალშიც ხორცზე ფასის ზრდის მთავარი გამომწვევი მიზეზი იქნება.

– აუცილებლად მოიმატებს ფასი. სექტემბერში და ოქტომბერში ფასმა წესით არ უნდა მოიმატოს იმიტომ, რომ ის სულადობები, რაც ხალხმა მთაში აიყვანა, ბუნებრივ საძოვრებზე, სექტემბერ – ოქტომბერში ჩამოვლენ და ამ პერიოდში შედარებით ჭარბი სულადობა იქნება, მაგრამ, ნოემბრიდან ისევ ცოცხალი საქონლის დეფიციტი იქნება ქვეყანაში და ისევ აუცილებლად გაიზრდება ხორცის ფასი.

საქართველოში ძალიან მოიმატა ბოჩოლის დაკვლის მაჩვენებელმა. საქართველოდან გადის საქონლის ძალიან დაბალი წონები ექსპორტზე, მაგალითად, 120, 130, მაქსიმუმ 140 კილოგრამი. ადგილობრივი წარმოება უკვე დეფიციტში გვაქვს. არც ერთი ქვეყანა არ ყიდის ამ წონის საქონელს. რეალურად 250 – 300 კილოგრამზე ნაკლებს არც ერთი ქვეყანა არ ყიდის.



ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ წარმოება არ გვაქვს ქვეყანაში, რაც ალბათ სახელმწიფომ უნდა წაახალისოს.

განვითარებულ და თანამედროვე ჯიშებზე უფრო მეტი აქცენტი უნდა გავამახვილოთ. მოვლა-შენახვის პირობებისთვის ფერმერებს განათლება სჭირდებათ. ასევე უნდა დაიგეგმოს მიზნობრივი პროექტები, რომლებიც მიზანმიმართულად იქნება ორიენტირებული იმაზე, რომ ხელი შეეწყოს ადგილობრივი ხორცის წარმოებას“ – განაცხადა ბექა გონაშვილმა.

ცნობისათვის, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოდან სულ ექსპორტზე 127 139 სული მსხვილფეხა პირუტყვი გავიდა, აქედან 79 250 სულის ექსპორტი აზერბაიჯანში, ხოლო 47 889 სულის ექსპორტი ერაყში განხორციელდა.

**bpn.ge**

# ქიბარ ხალვაშმა დვალს და აქიმიძეს რუსთავი 2-ის 40% შესთავაზა

## ისინი არ დათანხმდნენ





გუშინ, 30 ივლისს, ქიბარ ხალვაში დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს შეხვდა.

სამაუწყებლო კომპანიის მფლობელმა დვალს და აქიმიძეს რუსთავი 2-ის წილის 40 პროცენტი შესთავაზა. მათ ეს შეთავაზება არ მიიღეს და თავიანთი ვერსია შესთავაზეს, რაზეც ქიბარ ხალვაში დაფიქრდება.

– მე შევთავაზე, რომ ყოფილიყვნენ პარტნიორები, შევთავაზე 40 პროცენტი რუსთავი 2-ის, რაზეც ბედნიერება ვერ შევატყვე, მაგრამ არც ის არის, რომ ხვალ საუბარი არ გაგრძელდეს. თვითონაც წინადადება მითხრეს, რაც საფიქრალია, – განაცხადა ქიბარ ხალვაშმა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსთავი 2-ში საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს და უცხოელ მედია მენეჯერს კვლავ ეძებს.

შეხვედრის შემდეგ კომენტარი დავით დვალმაც გააკეთა.

– ძალიან საინტერესო საუბარი იყო, მაგრამ ყველაფერი მაინც დაიყვანება იმაზე, კონტროლი ვისია. ამიტომ ჩვენი პასუხიც იქნება დაფუძნებული ამ ანალიზიდან გამომდინარე. უბრალოდ პასუხს მკაფიოს, ჩამოყალიბებულს და საბოლოოს ამ წუთას არ ვიძახით, – განაცხადა მან.

როგორც დვალი აღნიშნავს, ახლა ისინი მხოლოდ ქიბარ ხალვაშის კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულები.

– სამწუხაროდ, ისე აღმოჩნდა, რომ ჩვენ ვართ ერთი ადამიანის, ქიბარ ხალვაშის კეთილ ნებაზე დამოკიდებული. სახელმწიფომ ქნა ყველაფერი, კონკრეტულად პროკურატურამ, რომ ჩვენ არანაირი სამართლებრივი ბერკეტი ამ შემთხვევაში არ გვაქვს. შესაბამისად, ეს არის კეთილი ნება.

დრო ბევრი გავიდა იმის შემდეგ, რაც გაჟღერდა სხვა ციფრები, რა თქმა უნდა, ჩვენ ვთვლით, რომ ქიბარ ხალვაშს სრული უფლება აქვს, დაასახელოს ნებისმიერი ციფრი, ან საერთოდ არაფერი არ შემოგვთავაზოს, უბრალოდ ჩვენი სრული უფლებაა, მივიღოთ, ან არ მივიღოთ.

დღეს ჩვენ პასუხს ამაზე არ ვიტყვით, ჩვენ ვიმსჯელებთ ადვოკატთან ერთად და პასუხი დასაბუთებული იქნება, – აღნიშნა დვალმა.

მან თქვა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რუსთავი 2 უკიდურესად კრიტიკული ტელევიზია იყოს და იყოს ფლაგმანი თავისუფალი ტელევიზიის საქართველოში.

– ქიბარი ამას უდგება, როგორც მეწარმე და ძალიან ღელავს რუსთავი 2-ის ფინანსურ მდგომარეობაზე და მისთვის პირველადი ეს არის, რა დასკვნაც მე გამოვიტანე. რაც არ უნდა იყოს, ძალიან დიდ მადლობას გადავუხდი, ეს არის კერძო ადამიანი და მისი კეთილი ნებაა, 5%-ს დათმობს თუ 70%-ს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მას აუცილებლად თანხმობას განვუცხადებთ, – განაცხადა დვალმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ დღეს სამართლებრივად ქიბარ ხალვაში 100%-ის მფლობელია, ის წყვეტს, ვინ იქნება დირექტორი და ა.შ.

– მანამდე სხვა პირობა იყო, 2017 წელს სხვამ გაიჟღერა, ბევრი რამე შეიცვალა ალბათ, ქვეყანაში, ისევ ვიძახი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა პირობა იყო, არ ვაპირებ მოვთხოვო, რატომ გადათქვა, ან რატომ შეიცვალა, ან რატომ არის დღეს სხვანაირი, – აღნიშნა დავით დვალმა.

მან იგულისხმა, რომ 2017 წელს ქიბარ ხალვაში დვალსა და აქიმიძეს რუსთავი 2-ის 50%-ს სთავაზობდა.

❖ ❖ ❖

– დათო დვალი და ჯარჯი არიან კარგი პიროვნებები, აბსოლუტურად კონსტრუქციულები, ნებისმიერ დროს მათთან შეხვედრა არავითარ სიმძიმეს არ წარმოადგენს, ამიტომ შეხვედრები გაგრძელდება, – განაცხადა ქიბარ ხალვაშმა.

მან აღნიშნა, რომ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი პაატა სალია დარჩება.

– 50%-იც რომ შევთავაზო, მაინც სალია იქნება. მედია მენეჯერზე ვმუშაობთ, მე მინდა ისეთი მედიამენეჯერი იყოს, რომ თქვენ პრეტენზია არ გქონდეთ, – მიმართა ხალვაშმა ჟურნალისტებს.

# ფსიქოტროპული ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის დამზადებისა და გასაღების ბრალდებით ექიმი დააკავეს



სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ ფსიქოტროპული ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის დამზადებისა და გასაღების ბრალდებით ექიმი დააკავა.

ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

„სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ექიმი რ.ჯ. დააკავა. იგი სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ქ.ბორჯომში და ფსიქოტროპული ნივთიერების შესაძენად ამზადებდა და ასაღებდა ყალბ რეცეპტებს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის დამზადებას გასაღების მიზნით და გასაღებას გულისხმობს. დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია ექვსიდან თერთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ოქრუაშვილის ადვოკატმა გირაოს თანხა 50.000 ლარამდე გაზარდა



თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბრალდებული ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის 50.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეცვლას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოქრუაშვილის ადვოკატმა, მამუკა ჭაბაშვილმა განუცხადა, აღნიშნულის შესახებ მან სააპელაციო საჩივარში მიუთითა.

ჭაბაშვილი პირველი ინსტანციის სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას ითხოვდა.

ირაკლი ოქრუაშვილი 25 ივლისს, 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე დააკავეს. ოქრუაშვილი მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობას გულისხმობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თავდაცვის ყოფილ მინისტრს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ირაკლი ოქრუაშვილი ე.წ. მატროსოვის ციხეშია მოთავსებული.

# იაგო ნებიერიძე სასჯელის შემსუბუქებას ითხოვს



გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულმა იაგო ნებიერიძემ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

როგორც „პრაიმტაიმს“ ნებიერიძის ადვოკატმა, მარიამ პაპოშვილმა, განუცხადა, მსჯავრდებულის მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქებაა.

– გასაჩივრებულია იმ დროში, რა ვადაც გვქონდა. გამამართლებელ განაჩენს არა, მაგრამ ობიექტურ გადაწყვეტილებას ითხოვს. ფიქრობს, რომ გამოძიება სხვა მუხლით უნდა წასულიყო, – განგვიცხადა ადვოკატმა მარიამ პაპოშვილმა.

27 მაისს, გორის რაიონულმა სასამართლომ იაგო ნებიერიძე ორივე მუხლში დამნაშავედ ცნო. კერძოდ, განზრახ მკვლელობისა და გარყვნილი ქმედების მუხლებით.

სასამართლო პროცესზე იაგო ნებიერიძემ დასკვნითი სიტყვის უფლებით ისარგებლა და მოსამართლეს მიმართა. მისი თქმით, ის უდანაშაულოა და დამნაშავედ მხოლოდ დანაშაულის შეუტყობინებლობაში უნდა ცნონ.

გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 2018 წლის 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. მისი ცხედარი სამართალდამცავებმა მდინარე ლიახვის პირას რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ იპოვეს. საქმეზე ბრალდებულის სახით დააკავეს 33 წლის იაგო ნებიერიძე, რომელიც მეზობლად მდებარე სახლში სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა.

მას თავდაპირველად ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით წარუდგინეს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს, ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ კი ბრალი 138-ე მუხლით დაუმძიმდა, რაც არასრულწლოვნის მიმართ სექსუალურ ძალადობას გულისხმობს.

# ახალქალაქში ო.ი.-მ თავი მოიკლა

## მან ვენები გადაიჭრა

ახალქალაქში, 50 წლამდე მამაკაცმა, ო.ი.-მ თავი მოიკლა. მან ხელისა და ყელის მიდამოებში ვენები გადაიჭრა.

შემთხვევა 29 ივლისს მოხდა. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

გარდაცვლილს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. 29 ივლისს ის საავადმყოფოში მივიდა. ექიმებმა მას დამატებითი გამოკვლევების ჩატარება ურჩიეს თბილისში, მაგრამ მამაკაცმა თავი მოიკლა..

მომხდარზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილი მამაკაცი დაქორწინებული არ ყოფილა. იგი ძმის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

# ი.მ.-მ წერეთელზე სუპერმარკეტი გაძარცვა



შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული ი.მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ი.მ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ სუპერმარკეტში, მოლარეს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და იგი აიძულა სალარო გაეხსნა, რათა მისთვის ფული და სიგარეტი მიეცა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილზევე დააკავეს, სიგარეტები კი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას, ასევე დადგინდა, რომ ი.მ.-მ იმავე დღეს, დილის საათებში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე ერთ-ერთი მაღაზია დააყაჩაღა.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით.

# ზუგდიდში 72 წლის მამაკაცი ჭაში ჩავარდა

გუშინ, 30 ივლისს, ზუგდიდში, მედეას ქუჩაზე, 72 წლის მამაკაცი ჭაში ჩავარდა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა დაქირავებული მუშა ჭას თხრიდა.

როგორც ადგილზე მყოფი მუშები ამბობენ, ჭა დაახლოებით 9-10 მეტრი სიღრმისაა, ამიტომ არ იციან, რა მდგომარეობაშია მამაკაცი. ადგილზე სამი მუშა მუშაობდა, ერთ-ერთი მათგანი ჩავარდნილი მამაკაცის შვილია.

– სამი ვიყავით, ეს იყო დაბლა. ჩვენ ზევით ვიყავით. ეტყობა გვიმი (ჭის ზღუდე) ჩამოიშალა და ამიტომ ჩავარდა. არაფერი ვიცით მისი მდგომარეობის შესახებ, – უთხრა „ლაივპრესს“ გენო ჯონიდავამ, ჩავარდნილი მამაკაცის შვილმა.

მისი სიტყვებითვე, ჭაში წყალი იყო ჩამშრალი და ამოწმენდის მიზნით იყვნენ მისული, როგორც კერძო მუშები.

მუშის ჩავარდნის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით.

# თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე მოტოციკლი ავტომობილს დაეჯახა

გვიან ღამით, თბილისში, ვეფხი და მოყმის ძეგლთან ავარია მოხდა.

მოტოციკლი ავტომობილს დაეჯახა. ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მოტოციკლს მართავდა, დაშავდა.

გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# გურჯაანში 22 წლის ბიჭი დაიღუპა

მომხდართან დაკავშირებით დეტალები უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# რუსეთში 40%-ს 2024 წლის შემდეგ პუტინის პრეზიდენტობა აღარ სურს

რუსეთში გამოკითხულთა თითქმის 40%-ს 2024 წლის შემდეგ ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად ხილვა არ სურს. აღნიშნულს „ლევადა ცენტრის“ სოციოლოგიური კვლევა მოწმობს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში დარჩენა აღარ სურს, მკვეთრად გაიზარდა.

კვლევის თანახმად, იმ მოქალაქეების რიცხვმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ხალხი პუტინს ენდობა, რადგან ვერ ხედავენ, კიდევ ვის შეიძლება ენდონ, მაქსიმუმს წელს მიაღწია და 43% შეადგინა.

პუტინი პრეზიდენტად მეოთხე ვადით 2018 წლის მარტში აირჩიეს. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, 2024 წელს პრეზიდენტად დასახელების უფლება მას აღარ აქვს.




კრემლთან დაახლოებული რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი მიიჩნევს, რომ საპროტესტო აქციები მოსკოვში შემთხვევით არ მოხდა. ესაა უფრო დიდი მოვლენებისთვის შემზადება.

– რუსეთში შეიარაღებული აჯანყება მზადდება! – თქვა მარკოვმა.

ექსპერტის აზრით, აჯანყებას აშშ-ის სპეცსამსახურები ამზადებენ. მიზანი რუსეთში ქაოსის გაღვივება და 90-იანი წლების ქაოსში დაბრუნებაა.

– ამერიკას სურს, რომ რუსეთში მუდმივი ქაოსი იყოს! ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი დიდი სახელმწიფო აღარ იქნება! ჩვენი ე.წ. ლიბერალები კი ამას ეხმარებიან! – აცხადებს მარკოვი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მარკოვმა რუსეთში არმიისა და ფსბ-ს ყველაზე აგრესიული წრეების პოზიცია გაახმოვანა. ისინი მოითხოვენ, რომ რუსეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს, გაუქმდეს დუმა, დროებით შეჩერდეს ყველა პარტიის მოქმედება, პუტინს კი ე.წ. „უმაღლესი მმართველის“ ფუნქცია დაეკისროს, ანუ ის მინიმალური შეზღუდვებიც კი არ ჰქონდეს, რაც დღეს აქვს.

– საუბარია პინოჩეტის მსგავსი რეჟიმის დამყარებაზე! – თვლის ანდრეი ილარიონოვი.



# აშშ და ჩინეთი სავაჭრო მოლაპარაკებისთვის ემზადებიან

აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო ომი დასრულდა. ეს დიდი ოცეულის შეხვედრაზე ოფიციალურად გაფორმდა. ახლა დღის წესრიგში სავაჭრი შეთანხმების დადებაა. სათანადო მოლაპარაკებები აშშ-ჩინეთის მთავრობის წევრების შეხვედრისას დაიწყება, რაც შანხაიში მოხდება.

მსოფლიო საზოგადოება შანხაის შეხვედრას მოუთმენლად ელის. მიუხედავად ამისა, ექსპერტები ამ ეტაპზე გარღვევას არ ელიან. ჩინეთი ამერიკელებთან შეთანხმების მიღწევას არ ჩქარობს. მაქსიმუმი, რაც შანხაის შეხვედრისას მოხდება, პოზიციების კიდევ უფრო დაახლოებაა.

# პაკისტანში სამხედრო თვითმფრინავი შენობას შეეჯახა

## 17 ადამიანი დაიღუპა

პაკისტანში საცდელი ფრენისას სამხედრო თვითმფრინავი შენობას შეეჯახა, რის შედეგადაც ეკიპაჟის ხუთივე წევრი და 12 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

შემთხვევა საგარნიზონო ქალაქ რავალპინდიში მოხდა.

– შენობა, რომელსაც თვითმფრინავი შეეჯახა, სრულად განადგურდა, – განაცხადა ოფიციალურმა სამხედრო პირმა შემთხვევის ადგილზე.

ქალაქი რავალპინდი დედაქალაქ ისლამაბადთან ახლოს მდებარეობს, სადაც პაკისტანის არმიის შტაბია განთავსებული.





# დიდი შეტაკება ბრაზილიის ციხეში

## 57 ადამიანი დაიღუპა

ბრაზილიაში, პარას შტატში, მუნიციპალიტეტ ალტამირას ციხეში ამბოხება მოხდა.

პატიმრებმა ციხის ნაწილი დაიკავეს, ამბოხების შემდეგად 57 ადამიანია დაღუპული.

თავდაპირველად მათ ორი ზედამხედველი აიყვანეს მძევლად, თუმცა შემდეგ ისინი გაუშვეს.

უწესრიგობა დაახლოებით 5 საათი გრძელდებოდა.

შეტაკება ნარკოტიკებით მოვაჭრე ორ დაჯგუფებას შორის მოხდა. პატიმრების ნაწილი მოკლეს, ნაწილი კი შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, მხუთავი აირით დაიხრჩო.

# ისრაელმა ალიასკაზე რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი გამოსცადა

ალიასკაზე აშშ-ისრაელის რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექს „აროვ 3“-ის გამოცდები დასრულდა.

როგორც ამერიკის, ასევე ისრაელის პირველი პირები აღნიშნავენ, რომ გამოცდებმა წარმატებით ჩაიარა.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ განაცხადა, რომ „აროვ-3“ საუკეთესო საშუალებაა ირანის ბალისტიკური რაკეტებისგან დაცვისთვის.

– ახლა ირანული რაკეტების აღარ გვეშინია! – ამბობს ნეტანიაჰუ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



# მძღოლისა და ფეხით მოსიარულეს დაუნდობელი ჩხუბი ვიდეოზე გადაიღეს



ინგლისის ტაინ-ენდ-უირის საგრაფოს ქალაქ ნიუკასლ-აპონ-ტაინში მძღოლი განზრახ დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, როდესაც აგრესიულად განწყობილი ქალისგან თავის დაღწევას ცდილობდა.

ინციდენტი შაბათს, 27 ივლისს მოხდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ გაიძრო ფეხიდან ქალმა ფეხსაცმელი და ის შავი ფერის ავტომობილის ფორდ ფოკუსის საქარე მინას დაუშინა. მანქანაში ორნი ჩასხდნენ, მან მოძრაობა დაიწყო და ამის შედეგად ქალი ასფალტზე დაეცა. შემდეგ მძღოლი ფეხით მოსიარულეს გაეკიდა და სისწრაფეში ჰაერში აისროლა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა მიშელ ჯაჰანგირიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინციდენტის მონაწილეებს სერიოზული ტრავმები არ მიუღიათ. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო და მიმდინარეობს ვიდეოში მოხვედრილი ყველა პიროვნების დადგენა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# კრიშტიანუ რონალდუ: „თეთრ ფორმას ვატარებდი და იქ მემკვიდრეობა დავტოვე“

ტურინის იუვენტუსის სუპერვარსკლავი, კრიშტიანუ რონალდუ დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი უახლოეს მომავალში ჩემპიონთა ლიგას დაისაკუთრებს. „ბებერი ქალბატონი“ ევროპული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს დიდი ხანია უმიზნებს. იუვემ სანუკვარი თასი ბოლოს 1996 წელს აღმართა და რონალდუს სჯერა, რომ ტურინელთა წარუმატებელ სვლას ბოლო სულ მალე მოეღება.

ესპანურმა გაზეთმა მარკამ 34 წლის სუპერვარსკვლავს ფენომენალური მადრიდული კარიერა დაუფასა. ღონისძიებას ფეხბურთელის მეუღლე ჯორჯინა როდრიგესი, მისი აგენტი ჟორჟე მენდეში და რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ რონალდუმ „სანტიაგო ბერნაბეუ“ 2018 წელს დატოვა. თუმცა მანამდე „სამეფო კლუბთან“ ერთად უდიდეს წარმატებას მიაღწია და ჩემპიონთა ლიგა მიჯრით 3-ჯერ დაისაკუთრა. კრიშტიანუ რეალის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, მან „ბლანკოსის“ მეტოქეთა კარში 451 გოლი გაიტანა.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– ამდენი გატარებული წლის შემდეგ, იოლი არ იყო რეალის დატოვება. მით უმეტეს, როდესაც რადიკალურად განსხვავებულ ჩემპიონატზე აკეთებ ფსონს, როგორიც სერია ა არის, თან 33 წლის ასაკში. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს სეზონი საუკეთესო იყო, რადგან მოვახერხე სკუდეტოს და იტალიის თასის მოპოვება. შემდგომ სანაკრებო დონეზე ერთა ლიგაც! მადრიდში მიღწეული წარმატების შემდეგ ცვლილებები და ახალი მოტივაცია მჭირდებოდა. გამარჯვებების მოსაპოვებლად ძალა კვლავ მაქვს. იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგას აუცილებლად მოიგებს. არ ვიცი ეს წელს მოხდება თუ გაისად, მაგრამ მიზანს მივაღწევთ.

*– ფაქტობრივად ყველაფერი მოიგე, რისი მოგებაც შეგეძლო. მიღწეული შედეგით კმაყოფილი ხარ?*

– რაც მადრიდი დავტოვე, ჩემი ცხოვრება ოდნავ შეიცვალა. ესპანეთში ყველაფერი მოვიგე და კარიერისთვის სხვა მოტივაცია მჭირდებოდა. ვფიქრობ, ჯერ კიდევ შემიძლია გულშემატკივრებს და საკუთარ თავსაც მოედანზე რაღაც ახალი შევთავაზო. ძალიან მოტივირებული ვარ და მომწონს, რასაც ვაკეთებ.

*– შენს ოთახში სხვა ჯილდოებისთვისაც დაგრჩა ადგილი?*

– მართლაც შესანიშნავი მუზეუმი მაქვს და თუ საჭირო გახდა, ჯილდოებისთვის უფრო დიდ ოთახს გამოვყოფ. ყველა ჯილდო ძვირფასია, არ შეიძლება, რომელიმეზე უარი თქვა და სანაცვლოდ მეორე მიიღო. ჩემთან ყველაფერს ნახავთ: ოქროს ბურთს, საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს, ოქროს ბუცს, პიჩიჩის...



*– მარკამ საფეხბურთო ლეგენდის ტიტულით დაგაჯილდოვა.*

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინდივიდუალური ჯილდოა, რომელიც მხოლოდ ლეგენდებს ერგებათ. ძალიან ბედნიერი ვარ.

*– მადრიდი მოგენატრა?*

– ამ ქალაქში 9 დაუვიწყარი წელიწადი გავატარე, რომელიც მხოლოდ საფეხბურთო მოედნით არ შემოიფარგლებოდა. მადრიდში პირველ ყოვლისა ემოციები მენატრება. აქ შემეძინა შვილი, კრიშტიანიტო, ჩემს გოგოსაც აქ შევხვდი. უამრავი მოგონებაა, რომელიც თავს მუდამ მახსენებენ. სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც მადრიდში სახლს არ ვყიდი. არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დღესაც სამუდამოდ იქ დავსახლდე.

*– მადრიდში ყველაზე მეტად მარსელო გენატრება?*

– მარსელო მადრიდში ბედნიერია, მასთან ერთად შესანიშნავად ვიყავი. მას, კაზემიროს, პეპეს და კოენტრაუს ბევრს ველაპარაკებოდი. საერთოდ, მარსელო სიცოცხლით სავსე ბიჭია და ძალიან მენატრება.

*– სარიმ თქვა, რომ თამაში 40 წლამდე შეგიძლია.*

– არ ვიცი, ეს იმაზეა დამოკიდებული, რას ვიგრძნობ, რამდენად მოტივირებული ვიქნები... ფიზიკურად აქამდე პრობლემა ჯერ არ მქონია, ეს უფრო ფსიქოლოგიური ამბავია. 40 წლამდე ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

*– მოიგებს იუვე ჩემპიონთა ლიგას?*

– ფავორიტები ნამდვილად ვართ, როგორც რეალი და ბარსელონა, მაგრამ ამ ტიტულს მხოლოდ ერთი გუნდი იგებს. შემიძლია მაგალითი მოვიყვანო: შეხედეთ ბარსელონას, ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენი ფული დახარჯეს, თუმცა ლიგა ვერ მოიგეს. იუვე შესანიშნავი გუნდია, თუმცა ამ ტურნირზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს: ჯგუფი, ფიზიკური ფორმა, ტრავმები, იღბალი... იუვე ამ წელს თუ ვერ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას, ამას შემდეგ წელს მოახერხებს, ან 2 წლის შემდეგ.

*– ბუფონს ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე არაფერი უთქვამს?*

– არა, ამაზე არ გვისაუბრია. ვუთხარი, როცა ერთმანეთის წინააღმდეგ სათამაშოდ გამოვდიოდით, მისით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. მან კი მითხრა, რომ ჩემთან ერთ გუნდში თამაშით ბედნიერია. ჯიჯი და იკერი მსოფლიოს საუკეთესო მეკარეები არიან, რომლებიც ისტორიას დარჩებიან.

*– ბარსაზე რას იტყვი? ეს გუნდი ძლიერდება და ბევრ ფულს ხარჯავს.*

– როგორც ყოველ წელს, ამჯერადაც შესანიშნავი ფეხბურთელები იყიდეს, დე იონგი, გრიზმანი. გასულ წელს კოუტინიო და დემბელეც დაიმატეს... რეალიც გაძლიერდა, აზარი, იოვიჩი, მენდი... თუმცა, რა თქმა უნდა, მადრიდელებისკენ ვარ, თეთრ ფორმას ვატარებდი და იქ დიდი მემკვიდრეობა დავტოვე.

# საქართველოს ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა სურს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტში აღმასკომის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. მთავარი საკითხი ევროპის ოლიმპიურ კომიტეტებში 2025 წლის ზამთრის მე-17 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბორჯომ-ბაკურიანში ჩატარების განაცხადის წარდგენა იყო.



სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე და სპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე.

ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მულტისპორტული შეჯიბრება ზამთრის სპორტში ჩართული ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის, რომელსაც 26 წლის ისტორია აქვს.

აქამდე 14 ფესტივალი გაიმართა, გარკვეულია 2021 და 2023 წლების ფესტივალების მასპინძლების ვინაობაც (ფინური ვუოკატი და იტალიური ფრიული-ვენეცია-ჯულია). საქართველოს აქვს შანსი, იბრძოლოს 2025 წლის ფესტივალისთვის და ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იქნება შესაბამისი განაცხადის წარდგენა.

# ნეიმარს ფასი დაუგდეს

ნეიმარზე კვლავ დიდი ამბებია. ფრანგული პრესის ცნობით, პსჟ მზადაა, ბრაზილიელს 180 მილიონ ევროდ შეელიოს. აქამდე ცნობილი იყო, რომ ფრანგები მე-10 ნომერს 300 მილიონად აფასებდნენ, როგორც ჩანს, ტუხელის გუნდმა პოზიციები დათმო.



დიდი ხანია ისიც იწერება, რომ თავად ფეხბურთელს ლიგა 1-ის დატოვება სურს და მის გაშვებაზე პსჟ-ს ხელმძღვანელებიც ფიქრობენ. ფეხბურთელის გადაბირება ბარსელონას, რეალსა და იუვენტუსს სურთ. რაც შეეხება ნეიმარის პოზიციას, ბრაზილიელს „ბლაუგრანაში“ დაბრუნება აქვს მოწადინებული.

ნეიმარი პსჟ-ში 2017 წლის ზაფხულში ბარსელონადან გადავიდა.

ბოლო სეზონში სუპერვარსკვლავმა 28 მატჩი ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა.

## შედეგები

**29 ივლისი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| არმინია-ზ.პაული | 1:1 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| ლორიენი-პარიზი | 3:0 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| რუბინი-ახმატი | 1:0 |
| **ჩეხეთი. 1 ლიგა** | |
| ჩესკე-სპარტა | 2:2 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| პოგონი-არკა | 2:0 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ოლბორგი-სილკებორგი | 3:1 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| ჰელსინბორგი-იორებრო | 1:4 |
| ელფსბორგი-კალმარი | 2:1 |

# ჰიონესი მიდის, ქომაგები არ უშვებენ

მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი, რომელსაც იანვარში 68 წელი უსრულდება, „რეკორდმაისტერს“ ემშვიდობება და არ აპირებს საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს 2019 წელს დაგეგმილ არჩევნებში. ამის შესახებ ინფორმაციას გერმანული გამოცემები ავრცელებენ.



მედიის მტკიცებით, მიუნხენური გრანდის ახალი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰაინერი იქნება. ჰაინერი ადიდასის ყოფილი გენერალური დირექტორია, რომელიც ამავე დროს ბაიერნის სადამკვირვებლო საბჭოს წევრი გახლავთ.

ული ჰიონესს და ჰერბერტ ჰაინერს 20-წლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ.

ული ჰიონესი ბაიერნის შემადგენლობაში 1970-1979 წლებში ასპარეზობდა. 27 წლის ასაკში დაასრულა კარიერა და ბავარიულ კლუბში მენეჯერულ საქმიანობას შეუდგა. 2009-14 წლებში ბაიერნის პრეზიდენტი იყო, 2016 წელს კი ხელახლა იქნა არჩეული იგივე თანამდებობაზე. 40-წლიანი ხელმძღვანელობის განმავლობაში ბაიერნმა 16-ჯერ იზეიმა გერმანიის ჩემპიონობა, ორ-2 მოიგო უეფას ჩემპიონთა ლიგა და ერთხელ უეფას თასი.

გამოცემა ბილდი კი, პარალელურად კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. როგორც ირკვევა, ბაიერნის ქომაგები ხელმოწერებს აგროვებენ იმ იმედით, რომ გადააფიქრებინონ ჰიონესს მიღებული გადაწყვეტილება. პეტიციაში ვკითხულობთ, რომ ძლიერი ბაიერნის გარანტი ული ჰიონესია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მამის გულმავიწყობამ ტყუპები იმსხვერპლა

ბრონქსიში (ნიუ-იორკი) 39 წლის ხუან როდრიგესს თავისი ერთი წლის ტყუპი ბავშვი მანქანის უკანა სავარძელზე დარჩა, თავად კი სამსახურში წავიდა. უკან დაბრუნებულს, ორივე ბავშვი დაღუპული დახვდა.

ალსანიშნავია, რომ როდრიგესი სამსახურში ჯეიმს პიტერსის სახელობის საავადმყოფოში 26 ივლისს 8:00 საათზე მივიდა. გოგონა მარიცა და ბიჭი ფენიქსი მამაკაცმა მანქანა ჰონდა აკორდის უკანა სავარძელზე დატოვა, უკან კი მხოლოდ 16:00 საათზე დაბრუნდა. იმ დროს ბავშვები უკვე დაღუპულები იყვნენ, პირზე ორივეს ქაფი ჰქონდათ მომდგარი.



პოლიციის განცხადებით, მამას სიცხეში დატოვებული ბავშვები მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც უკვე სახლში უნდა წასულიყო.

– ვიფიქრე, რომ სამსახურში მისვლამდე ისინი საბავშვო ბაღში დავტოვე... გავითიშე. ჩემი ბავშვები დაიღუპნენ, ისინი მე მოვკალი, – განაცხადა როდრიგესმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცს საავადმყოფოში სოციალური მუშაკის თანამდებობა უკავია. მამაკაცი საპატიმროდან 100 ათასი დოლარის გირაოთი გაათავისუფლეს.

ალსანიშნავია, რომ ტყუპების დაღუპვის დღეს ქალაქში სიცხის პიკი იყო. ჰაერის ტემპერატურამ გასული საუკუნის 80-იანი წლების მაქსიმუმს მიაღწია.

# ძაღლი მამაკაცს ტყვიისგან გადასარჩენად გადაეფარა

სამხრეთ აფრიკის ქალაქის გარეუბან მიჩელს-პლეინში ძაღლი, სახელად გულუვა, სახის არეში ტყვიით იმ დროს დაიჭრა, როდესაც მამაკაცს დამნაშავეებისგან იცავდა.



ძაღლის პატრონმა დერიკ მფენგვანამ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა გულუვამ დაღუპვას მისი დის შეყვარებული. მისი თქმით, ახალგაზრდა მამაკაცმა სახლის ახლოს გააჩერა თავისი ავტომობილი ფოლკსვაგენ გოლფ-V და კარის გაღებას ცდილობდა.

– ამ დროს მას ზურგიდან ხელში პისტოლეტმომარჯვებული უცნობი პიროვნება მიუახლოვდა და მისთვის ავტომობილის გასაღების გადაცემა უბრძანა, – ამბობს მფენგვანა.

ოთხი წლის გულუვა ეზოდან გავარდა და ერთ-ერთ ბანდიტს მივარდა. ბოროტმოქმედმა მას პისტოლეტი ესროლა. სანამ ბოროტმოქმედები ძაღლზე იყვნენ გადართულები, ახალგაზრდა მამაკაცმა საიმედო ადგილას დამალვა მოასწრო. რის შემდეგაც თავდამსხმელებმა იქაურობა დატოვეს.

– სახლში ფილმს ვუყურებდი და გასროლის ხმა გავიგონე. ჩემი მეგობარი გოგონა და ჩემი და ყვიროდნენ და ვიფიქრე, რომ მათ ჩემი დის შეყვარებული დაჭრეს. სახლში სისხლის კვალი შევნიშნე, – განმარტავს მფენგვანა, – ეზოში გავედი და დავინახე, რომ ჩემი ძაღლი სისხლისგან იცლებოდა.

პატრონმა ძაღლი ქალაქ ფილიპის ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანა. ვეტერინარის თქმით, ტყვიამ ცხოველს ყბა და ენა დაუზიანა. ამ დროისთვის მამაცი ძაღლი სამედიცინო დახმარებას იღებს და სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*





# კისონის დაავადება

მაღალი ატმოსფერული პირობებიდან ერთბაშად დაბალ ატმოსფერული წნევის გარემოში გადასვლით გამოწვეულ დაავადებას კისონის დაავადება ეწოდება. დაავადება ემართებათ იმათ, ვინც მაღალი წნევის პირობებს არ არიან შეჩვეულნი.

ნორმალური წნევის პირობებიდან მაღალი წნევის პირობებში გადასვლისას დაფის აპკი ჩაიწევს, ზოგჯერ შეიძლება გაიგლიჯოს, სმენა ქვეითდება, გემოვნება და სუნთქვა სუსტდება, ნაწლავებში ხდება აირების შეკუმშვა. მაღალი ატმოსფერული წნევის პირობებში სუნთქვისას სისხლი და ქსოვილები აზოტით გაჯერდება.

ნორმალურ პირობებში ყოფნისას ყველა ქსოვილი შეიცავს 1 ლიტრამდე გახსნილ აზოტს, სისხლს – 40 ლიტრამდე. წყალში ჩაყვინთვისას იმატებს ორგანიზმის ქსოვილებში გახსნილი აზოტის რაოდენობაც. ორგანიზმი გაჯერდება აზოტით. ავადმყოფს აღენიშნება ზოგადი სისუსტე, ქოშინი, კანის ქავილი, ყურებში შუილი, სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მოშლილობა, სახსრებისა და კუნთების დაჭიმულობა და ტკივილი, მოსალოდნელია ცნობიერების დაბინდვა, ზოგჯერ დამბლაც, მეტყველების მოშლა, ციანიზი.

ავადმყოფს სწრაფად უნდა მიეცეს ჟანგბადი, გადაყვანილ უნდა იქნას ნორმალურ ატმოსფერულ პირობებში, უნდა მიეცეს საგულე საშუალებები იმის მიხედვით, თუ როგორ არის გულის რიტმი დარეგულირებული.

დაავადება რომ არ განვითარდეს, საჭიროა მყვინთავების სრულყოფილი სამედიცინო შემოწმება, ჩაყვინთისას უნდა აიკრძალოს სპირტიანი სასმელების მიღება, დაღლილობისას ცურვა სასურველი არ არის.

# ზღვის დაავადება – რყევის დაავადება – კინეტოზი

კინეტოზი ვითარდება გემის მრავალჯერადი განმეორებითი მოძრაობის ან რყევის დროს. გემის გადანაცვლებისას სხეულის სიმძიმის შეცვლის შეგრძნებაა.

გემის რყევა იწვევს ვესტიბულარული აპარატის გაღიზიანებას სხეულის წონასწორობის არათანაბარი და უეცარი დარღვევების გამო. გარდა ამისა, მუცლის ღრუს მოძრავი შინაგანი ორგანოების დაწევისას და აწევისას ჯორჯლის ფუძე პერიოდულად ღიზიანდება, რაც კუჭის არეში არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევს. მხედველობის ორგანოების გადაღლა ზღვისა და მზის სინათლის მოძრავი ანარეკლის განუწყვეტლივ ყურებისას, ახასიათებს არასასიამოვნო ყნოსვითი შეგრძნება, აღინიშნება კანის სიფერმკრთალე და მიწისებური ელფერი, ცივი ოფლი, ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფა, გულისრევა, თავში სიმძიმის შეგრძნება, თავის ტკივილი, ღებინება, ზოგჯერ მცირე რაოდენობით – სისხლიანი. გულისრევა იწყება საჭმლის დანახვისთანავე, ძლიერი სისუსტე, ძილად მივარდნა. სუნთქვა ზერელეა და აჩქარებული. თუ დაავადება რამდენიმე დღე გაგრძელდა, ორგანიზმის ქსოვილები წყლის უკმარისობას განიცდის.

პროფილაქტიკა: გემით მგზავრობისას არ უნდა მიიღოთ ცხიმიანი ან მწარე საკვები, სპირტიანი სასმელი. საჭიროა წინასწარ გემის სუნთან შეჩვევა.

დაავადების გამოვლენისას ძილის საშუალებების მიცემა არარეკომენდებულია. აგზნების შეკავების დათრგუნვისთვის საჭიროა რომელიმე დამამშვიდებელი, მაგრამ არა სედატური (საძილე), წვეთების მიღება.



## კრაზანა

მრავალწლოვანი ბალახია, ყვავილობს ყვითელი, შეკრული ყვავილებით. ძირითადად ტყის მდელოებზე იზრდება. ყვავილობს ზაფხულში და მაშინ უნდა მოხდეს მისი შეგროვება. გახევებული ღეროები არ გამოგადგებათ. გააშრეთ ჰაერზე.

კრაზანა შეიცავს კაროტინს, ჩ ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთებს, ფლავონოიდებს. გამოიყენება დასალევად, როგორც შემკვრელი, ანტისეპტიკური საშუალება კოლიტების სამკურნალოდ, აგრეთვე პირში გამოსავლებად და პირის ღრუს ლორწოვანის ანთების დროს.

1 კოვზ კრაზანას დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 3-4 საათი, უნდა მიიღოთ სუფრის კოვზით. დღეში 4-5 სუფრის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

აფთიაქებში შეიძლება შეიძინოთ კრაზანას სპირტზე დამზადებული ნაყენი.

# ტურისტმა სასტუმროს ნომრის საწოლში გველი აღმოაჩინა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ მემფისის სასტუმროს ნომერში ტურისტმა მელინდა მაიორმა საკუთარ საწოლში გველი აღმოაჩინა.

ქვეწარმავალი ქალს ხელზე იმ დროს შემოეხვია, როდესაც მას საწოლში ეძინა. ქალს გველის შეხებაზე გაეღვიძა, ის საწოლზე დააგდო და სასტუმროს წარმომადგენლები გამოიძახა. მათ გველი ოთახიდან გაიყვანეს. გაირკვა, რომ ის ადამიანისთვის უსაფრთხო ბაღის მწვანე გველი იყო.

სასტუმროს ადმინისტრაციამ ქალს მომხდარის გამო მოუბოდიშა. მას ბინადრობის ფული არ გადაახდევინეს.

– მე შეიძლება საქმე მქონდეს ობობებთან, ყოველგვარ საზიზღარ არსებებთან, მაგრამ გველი, შორს ჩემგან, – განმარტა მელინდა მაიორმა.

# მამაკაცმა ბავშვი გადაარჩინა, თავად კი ლოდებში გაიჭედა

ინგლისის ნორფოლკის საგრაფოს ქალაქ შერინგემის სანაპიროზე მამაკაცი ქვებზე ფეხდაცურებული ბავშვის გადარჩენისას სახიფათო ადგილზე გაიჭედა.

ინციდენტი კვირას, 28 ივლისს მოხდა. სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომლის ტონი გარბუტის თქმით, მამაკაცი პლაჟს ოჯახთან ერთად ტოვებდა, როდესაც მის ერთ-ერთ ბავშვს ქვის ლოდზე ფეხი დაუცდა. მამა ბავშვს ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა, თუმცა ამ დროს თავად დაუცურდა ფეხი და ორ დიდ ლოდს შორის გაიჭედა.



თვითმხილველებმა სამაშველო სამსახური გამოიძახეს. კისრამდე ზღვის წყალში მყოფ მამაკაცს დახმარების აღმოჩენამდე რამდენიმე საათი ცდა მოუხდა. სამაშველო ოპერაციის მსვლელობისას ცდილობდნენ, მას თავი წყლის ზემოთ ჰქონოდა, რათა სასუნთქი მოწყობილობით ესუნთქა.

საბოლოოდ ბრიტანელის ფეხი წარმატებით გაათავისუფლეს, მან მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო.

# „კეთილმა“ შიმპანზემ ზოოპარკის ზედამხედველს ხელი მოაჭამა



საფრანგეთში შიმპანზემ ზოოპარკის ზედამხედველს დამთვალიერებლების თვალწინ ხელი მოაჭამა.

დაწესებულების დირექტორის თქმით, შიმპანზე ბამბუ დაბადების დღიდან ზოოპარკშია. 23 წლის მაიმუნი ყოველთვის კეთილგანწყობით გამოირჩეოდა და აგრესიულობის ნიშნები არასოდეს გამოუვლენია. ზოოპარკის დაშავებული თანამშრომელი მას კარგად იცნობდა. უცნობია, თუ რატომ დაესხა მაიმუნი თავს მამაკაცს.

ზოოპარკის 30 წლის ზედამხედველმა ოთხი თითი და ხელის ნაწილი დაკარგა, ის შვეულმფრენით ქალაქ ლიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამ შემთხვევის თვითმხილველები ათამდე ადამიანი გახდა, რომლებიც იმ დროს ზოოპარკში იმყოფებოდნენ. მათ ფსიქიატრების დახმარება დასჭირდათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# კულინარიული კუთხე

## ცხვრის, ძროხის ან ღორის ხორცის ბასთურმა

ცხვრის, ძროხის ან ღორის რბილი ნაწილი დავჭრათ თანაბარ ნაჭრებად, გავრეცხოთ და ჩავდოთ თიხის, მინანქრის ან ფაიფურის ჭურჭელში.

დავაყაროთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, მარილი, პილპილი. დავასხათ ძმარი. დავახუროთ სახურავი და გავაჩეროთ რამდენიმე საათი (შეიძლება 1 დღე და ღამეც).

შემდეგ ამოვიღოთ, ავაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე ან ღუმელში.

ბასთურმა შეიძლება უძმროდაც მომზადდეს.

❖ ❖ ❖

## შემწვარი ღვიძლი

**მასალა**: ღვიძლი – 500 გრამი; კვერცხი – 1 ცალი; ორცხობილას საფანელი – 50 გრამი; კარაქი – 1 სუფრის კოვზი; მარილი – გემოვნებით.

**მომზადება**: ღვიძლი გავრეცხოთ. გავაცალოთ აპკი, ამოვკვეთოთ ნაღვლის სადინარები, დავჭრათ ნაჭრებად.

ყოველ ნაჭერს მოვაყაროთ ცოტა მარილი. ამოვავლოთ ჯერ ფქვილში, შემდეგ – ათქვეფილ კვერცხში, ბოლოს კი – ორცხობილას საფანელში. დავაწყოთ გამდნარ ცხიმწასმულ ტაფაზე და შევწვათ.

❖ ❖ ❖

## ფლავი ქიშმიშით, ნუშით და შავი ქლიავით

**მასალა**: ბრინჯი – 500 გრამი; კარაქი – 300 გრამი; კვერცხი – 3 ცალი; გარჩეული ნუში – 200 გრამი; ქიშმიში – 200 გრამი; შავი ქლიავი – 200 გრამი; შაქრის ფხვნილი – 0,5 ჩაის ჭიქა.

**მომზადება:** ჩვეულებრივი წესით მოვხარშოთ და გავწუროთ ბრინჯი. ფართოძირიან ქვაბში ჩავდოთ კარაქი და დავდგათ ცეცხლზე. როცა კარაქი გაცხელდება, ჩავასხათ შიგ გათქვეფილი 3 კვერცხი. 1-2 წუთის შემდეგ ჩავყაროთ გაწურული ბრინჯი, დავუმატოთ კარაქი და ქვაბსა და სახურავს შორის გადავაფაროთ სველი, გაწურული ტილო. როცა ბრინჯი კარგად გაფუვდება, ფლავი მზად იქნება.

ნუშს დავასხათ მდუღარე წყალი, ცოტა ხანი გავაჩეროთ და გავაცალოთ კანი. შემდეგ ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ ნახევარი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და ვხარშოთ 15 წუთი. დავამატოთ გარჩეული, გარეცხილი ქიშმიში, უკურკო შავი ქლიავი, შაქრის ფხვნილი, თაფლი, კარაქი. ავურიოთ და კიდევ 15 წუთი ვხარშოთ.

მოხარშული ფლავი ლანგარზე გადმოვიღოთ. ზემოდან მოვათავსოთ ცუკატების მასა. ფლავის ძირში შემწვარი ერბოკვერცხი დავჭრათ ნაჭრებად და ლანგარზე მოთავსებულ ფლავს გარშემო ლამაზად შემოვუწყოთ.

❖ ❖ ❖

## ტორტი ატმით

**მასალა**: კვერცხი – 19 ცალი; შაქრის ფხვნილი – 5 ჩაის ჭიქა; რძე – 1 ლიტრი; კარაქი – 200 გრამი; ფქვილი – 3 ჩაის ჭიქა; ატამი – 1 კილოგრამი; ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა.

**ცომის მომზადება:** 15 კვერცხის ცილა გავთქვიფოთ კარგად ისე, როგორც ზემოთ არის აღწერილი, თანდათან ვამატოთ 2,5 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, კვერცხის გული და ვთქვიფოთ დიდხანს. დავუმატოთ 2,5 ჩაის ჭიქა ფქვილი და ფრთხილად ავურიოთ. ყალიბს წავუსვათ ცხიმი და გამოვაცხოთ ბისკვიტი.

**კრემის მომზადება:** 4 კვერცხის გულისა და 1,5 ჭიქა შაქრის ფხვნილისგან გავაკეთოთ გოგლიმოგლი, დავამატოთ ნახევარი ჩაის ჭიქა ფქვილი და კარგად ავურიოთ. დავასხათ 1 ლიტრი რძე, დავდგათ ნელ ცეცხლზე და მივიყვანოთ ადუღებამდე. გავაციოთ და შევათქვიფოთ 200 გრამი კარაქი.

**ატმის მომზადება:** წინა საღამოს გავფცქვნათ ატამი, დავჭრათ სიბრტყეზე, მოვაყაროთ 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი და ასე დავტოვოთ. დილით გადავწუროთ ატამი და მიღებული წვენის ნაწილი მოვასხუროთ შუაში გაჭრილ ბისკვიტის ქვედა ფენას, წავუსვათ კრემი, დავალაგოთ გაწურული ატმები, წავუსვათ კრემი, დავაფაროთ ბისკვიტის მეორე ნახევარი, მოვასხუროთ დარჩენილი წვენი, დავალაგოთ ატმები და წავუსვათ კრემი. ზემოდან მოვრთოთ კრემით, ან დავალაგოთ ატმები და მოვაყაროთ მოხალული ნიგოზი. გვერდზე წავუსვათ კრემი და მოვაყაროთ ნიგოზი.

# ასტროპროგნოზი

## 31 ივლისისთვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; 2. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. თაღლითი ბანქოს თამაშში; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. ქართველი მხატვარ-კერამიკოსი ქალი; 12. სამხრეთ აფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. ეზოს დიდი რკინის კარი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. ესპანეთის დედაქალაქი; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

**თარაზულად**: 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 8. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. მიწის თხილი; 11. ძველებური დაბალყელიანი რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 21. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლებისციტი; 2. ჩაყაში; 3. სუპორტი; 4. რუმბი; 5. კონსუელო; 6. ებანი; 7. ბენუარი; 9. ბორნეო; 13. დიორი; 17. ქისი; 18. მზე.

**თარაზულად:** 1. პესტიჩო; 3. სოკარი; 8. კომბლე; 10. კანტონი; 11. კიტრი; 12. მიკუსი; 14. მცხეთა; 15. ყვირილა; 16. ლექსი; 19. ბერდია; 20. კირთაძე; 21. საცივი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიუნანი; 2. ენოთეკა; 3. სოლოლაკი; 4. სლაიდი; 5. ჰარპუნი; 8. ყანჩელი; 9. კაკანათი; 12. კასტილია; 13. არქტიკა; 16. კოლორადო; 17. პასტელი; 19. დნეპრი; 20. მერანი.

**თარაზულად:** 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ყლორტი; 10. მანდელა; 11. ხულა; 14. ქარვასლა; 15. ესტანსია; 18. კოპიჭი; 21. ნეკრესი; 22. ცენტი; 23. იუმორი; 24. ნოვარტისი.

# სვანეთში კიდევ ერთი კოშკი ჩამოინგრა



სვანეთში კიდევ ერთი უძველესი კოშკი ჩამოინგრა.

ინფორმაცია ამის შესახებ ეკა კვიციანმა გაავრცელა:

– რეაბილიტაციის მოლოდინში კიდევ ერთი კოშკი ჩამოინგრა უშგულში...

დანარჩენებს რა ბედი ეწევათ, საქართველოს ბედოვლათო მთავრობავ?!

# მუსიკისა და დრამის თეატრის „მშვენიერი ლედი“ ლილი ჩიბალაშვილი გარდაიცვალა



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლილი ჩიბალაშვილი გარდაიცვალა.

– ჩვენი თეატრის „მშვენიერი ლედი“ ნამდვილი ვარსკვლავი, უმშვენიერესი ქალბატონი ლილი ჩიბალაშვილი წლების განმავლობაში „მუსკომედიის“, თეატრის გამორჩეული მსახიობი იყო და თავისი შემოქმედებით საინტერესო კვალი დატოვა ქართული თეატრის ცხოვრებაში.

გვეამაყება, რომ ქალბატონი ლილი ჩვენი თეატრის განუყოფელი და ძვირფასი ნაწილია. მის მიერ შექმნილი არაერთი საინტერესო და დაუვიწყარი სახე დიდხანს ემახსოვრება თეატრის ერთგულ მაყურებელს.

ვუსამძიმრებთ ქალბატონი ლილის ოჯახს და მის კოლეგებს, – ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# კინომსახიობთა თეატრში არტ კაფე დახურეს



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში არტ კაფე დახურეს.

**ქეთი დოლიძე, კინომსახიობთა თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი:**

– ჩვენთან ერთმა მსახიობმა მიჩივლა, ჩუმად, უზნეოდ, ქეთი დოლიძემ თეატრის ფოიეში ვიღაცას კაფე გაახსნევინაო!

ის საწყალი კაცი სულ წაგებაში იყო, მაგრამ ეს პატარა არტ კაფე იყო მყუდრო, სპექტაკლის მერე ხალხს წასვლა არ უნდოდა!

ფესტივალის სტუმრები კი, ბრიტანელები, ფრანგები, ლიტველები, რუსები, ამერიკელები, იტალიელები სპექტაკლის მერე არ იშლებოდნენ და რამდენი ლამაზი საღამო ახსოვს ამ ფოიეს!

რა გინდოდათ თქვე ბოღმებო და ბოროტებო! დამსმენებო!

ასეა!

ყველაზე საშიში თეატრში საშუალო ნიჭის არტისტია, დაბოღმილი და ლოთი თანაც!

რა ქენით, გააბრწყინეთ თეატრი?! არასდროს გეპატიებათ ეს ვანდალიზმი!

ჩემს მოგონებების წიგნში კი მხოლოდ სიმართლე დაიწერება, ისევე, როგორც ჩემი პედაგოგის წიგნში!

მოღალატეებო!

გეშინოდეთ შურიანი ადამიანის!

# თათია შარანგია: „სიტყვა ყველაზე მტკივნეული სიკვდილით გკლავს!“



პიანისტი და გადაცემა „სთორის“ წამყვანი თათია შარანგია წუხს, რომ ადამიანებს სიტყვა ყველაზე მტკივნეული სიკვდილით კლავს:

– რა სამწუხაროა, რომ ისრად ნათქვამი სიტყვები უკან არ ბრუნდება. რა სამწუხაროა, რომ სიტყვა ყველაზე მტკივნეული სიკვდილით გკლავს. არ არის მოლოდინი, რომ სიკვდილი შეიძლება კლინიკური იყოს და გულმა ისევ დაიწყოს ფეთქვა.

ყველაზე ფასეული ამ ქვეყნად ურთიერთობები მგონია. პატივისცემაზე და სიყვარულზე დაყრდნობილი. და რა სამწუხაროა აქაც, რომ გაბზარულს გატეხილი სჯობს, რომ შენებას დროის და ენერგიის დიდი ინვესტიცია სჭირდება, ნგრევას კი წუთი, წამი, ან წამიც კი არა.

მტკივნეულია, რომ ადამიანები არ ვაფასებთ ერთმანეთს მანამ, სანამ გვერდით გვყავს და შემდეგ, შემდეგ უკვე გვიანია. შემდეგ ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ის აღარ არის. წავიდა. გარდაიცვალა, ან უბრალოდ შენთვის გარდაიცვალა. წამმზომი, რომელიც ჩართულია, ზოგჯერ გვანახებს, რომ შენთვის განსაზღვრული წუთები, საათები, დღეები ამოიწურა. ზოგჯერ ერთი დღე ხდება საუკუნე და „მოგვიანებით“ ხდება „არასდროს“.

რა ტკბილი მოსასმენია სიტყვა მიყვარხარ და რამდენად უფრო სასიამოვნო, როცა ამას თქმაც არ სჭირდება. უბრალოდ იმდენად ძლიერია გრძნობა, რომ ამას ყველა, თითქოს უმნიშვნელო დეტალითაც კი გრძნობ.

რა სასიამოვნოა ადამიანთან მისალმება, ახალი დღის შეხვედრა და რა მტკივნეულია სიტყვა „ნახვამდის“, როცა იცი, რომ ეს შეხვედრა შეიძლება აღარც მოხდეს.

გავუფრთხილდეთ ურთიერთობებს, საყვარელ ადამიანებს, პოზიტიური ემოციის და ენერგეტიკის გაცვლა-გამოცვლას. მიუხედავად იმედგაცრუებების, ნუ მოვიხსნით ვარდისფერ სათვალეს. ხშირად უთხარით, რომ გიყვართ, გენატრებათ, მუდმივად გჭირდებათ თქვენს გვერდით. ზუსტად ვიცი, ეს ახანგრძლივებს სიცოცხლეს და ბევრად ფერადს ხდის მას. სიტყვას მართლაც დიდი ძალა აქვს. ან აშენებს, ან ანგრევს. ამიტომ გეტყვით, ძალიან მიყვარხართ და მხოლოდ ნათელი ფერები მემეტება თქვენთვის.

# გია ჯაჯანიძე: „მადლობა განგებას, რომ მომცა საშუალება, ვყოფილიყავი მაღალრეიტინგული შოუს წამყვანი“



ფსიქოლოგი და გადაცემა „სხვა რაკურსის“ წამყვანი გია ჯაჯანიძე აცხადებს, რომ ყველაფერს პირველ აგვისტოს იტყვის, მანამდე კი თავის მაყურებელს ორაზროვანი განცხადებით მიმართავს:

– ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, გულშემატკივარო, ერთგულო მაყურებელო.

თქვენც მოგმართავთ, ვისაც ჩემი გადაცემა არ მოგწონდათ და მაკრიტიკებდით.

მადლობა ყველას.

მადლობა განგებას, რომ მომცა საშუალება, ვყოფილიყავი მაღალრეიტინგული შოუს წამყვანი. მადლობა განგებას, რომ მომეცა საშუალება მიმეღო უკიდეგანო გამოცდილება.

მუდმივი რომ არაფერია, ბავშვობიდან ჩამინერგეს, ამიტომ არასდროს არაფრის მეშინოდა.

არ მეშინოდა წარუმატებლობის, არც წარმატების მეშინოდა და არც წარმატების დაკარგვის შიში მაქვს.

წარმატების დაკარგვის შიში იმ ადამიანებს აქვთ, ვისაც შემთხვევით გაუმართლათ.

მე ჯერ ადამიანი ვარ და მერე სხვა დანარჩენი, შეძენილი თუ ნასწავლი თვისებებით.

არაფერი შემთხვევითი არ არის, ყველაფერს ჩვენ ვქმნით. ჩვენ ვანგრევთ.

გეშინოდეთ თქვენი ფიქრების, თუ ისინი უარყოფითია.

გეშინოდეთ იმ ადამიანების, ვისზედაც უარყოფითს ფიქრობთ და საუბრობთ.

გეშინოდეს, როცა სხვისი ცუდი გიხარია და ფიქრობ, რომ ის ღირსია ცუდად იყოს.

წიწაკა მწარეა, ბევრ შაქარს შეიცავს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# დათვმა ძაღლის ჯამი ბელებს წაუღო



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ვალე-კრუცისში ვიდეოზე გადაიღეს დედა დათვი თავის სამ ბელთან ერთად, რომლებმაც სახლის ვერანდაზე შეაღწიეს.

სახლის მცხოვრებლები ამ სცენას მინის კარიდან ადევნებდნენ თვალს. ისინი კაკუნითა და ყვირილით ცდილობდნენ მოეშორებინათ გარეული ცხოველები გარეთ დარჩენილი ძაღლის საკვების ჩასაყრელი ჯამისთვის, მაგრამ ამით მხოლოდ ბელების შეშინება შეძლეს.

სანამ ბელები ტყისკენ გარბოდნენ, დედა დათვმა აუღელვებლად დაავლო პირი ჯამს და აუჩქარებლად მიჰყვა თავის ბელებს. მან მთელი გზა ისე გაიარა, რომ ჯამში ჩასხმული ერთი წვეთი საჭმელიც კი არ დაუღვრია.

– ჯამი ველარ ვიპოვეთ! – ამტკიცებს კურიოზული შემთხვევის ვიდეოს ავტორი ელისაბედ ლოფლინი.

# ნანუკა ჟორჟოლიანი „ნანუკას შოუს“ აღარ წაიყვანს



ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი თავის საავტორო გადაცემას „ნანუკას შოუ“ აღარ წაიყვანს.

ინფორმაცია ამის შესახებ ნანუკამ თავად გაავრცელა:

– ოქტომბერში ნანუკას შოუ 10 წლის ხდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ გადაცემიდან უნდა დაგემშვიდობოთ.

სულ სხვა ფორმატით ვაპირებდი ამის გაკეთებას. ახალი სტუდიიდან, ახალი გადაცემიდან, მაგრამ რადგან მედიაში ამბავმა გაჟონა, დაჩქარდა საიდუმლოს გამხელა.

ახალი სეზონიდან ახალი გადაცემით დავბრუნდები ეთერში. სწორედ იქ მოგიყვებით, გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა თუ არა და სწორედ იქ გადაგიხდით მადლობას 10 წლიანი ერთგულებისთვის.

ახალი გადაცემა იქნება სოციალური თოქ-შოუ.

ექნება სხვა სახელი.

სხვა სტუდია.

იქნება პირდაპირი ეთერი.

იქნება იგივე წამყვანი – იგივე ენერგიით.

ამ დროის გეგმებით შევხვდებით რუსთავი 2-ზე. თუ რამე არ შეიცვალა. თუ შეიცვალა, არც ეგაა პრობლემა. ყოველთვის ვნახავ ადგილს, სადაც თქვენთან შეხვედრას მოვახერხებ.

# გიორგი მარშანია მთავრობას აკრიტიკებს

მსახიობი და ჟირაფი ჟოზეს ავტორი გიორგი მარშანია მთავრობას აკრიტიკებს და დოლარის მაღალ კურსს აპროტესტებს:

– დიდხანს არ გაგრძელდებაო...



შეგახსენებთ: ამ მთავრობამ ლარი 1,66 ჩაიბარა და 7 წელია გრძელდება გაუფასურება.

და დიდხანს არ გაგრძელდებაო.

დიდხანს,

ანუ 24 წელი?

ძაან გავლარიბდი და აღარ ვიცი, რა ვქნა...

# წყვილმა საუზმე გამოტოვა და ჯეკპოტი მოხსნა




ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ მიდში წყვილმა იმის გამო, რომ რესტორანში ადგილები არ იყო, საუზმე გამოტოვა და ჯეკპოტი მოხსნა.

ჯენიფერ ფიშერმა გაიხსენა, თუ როგორ გაემართნენ კვირა დილით ის და მისი მეუღლე რესტორანში და აღმოჩნდა, რომ დაწესებულება ხალხით იყო გადავსებული. ამის გამო ისინი მაღაზიაში შევიდნენ, რათა რამდენიმე სენდვიჩი ეყიდათ სახლში წასაღებად და ამასთან სამი ცალი ლატარიის ბილეთიც შეიძინეს.

ქალის თქმით, გათამაშება გადაავიწყდა, სანამ მეუღლემ არ შეახსენა, რომ შედეგები შეემოწმებინა.

– ერთ-ერთი ბილეთი სინათლესთან ახლოს მივიტანე და საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. მეუღლეს ხელები უკანკალებდა. ეს ნამდვილი შოკი იყო! – განაცხადა ფიშერმა.

იღბლიანმა წყვილმა 25 ათასი დოლარი მოიგო. ისინი ამ ფულით ვალების გასტუმრებას და ლას-ვეგასში დასვენების მოწყობას გეგმავენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9507

ევრო — 3.2889

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5957

100 რუსული რუბლი — 4.6223

## ამინდის პროგნოზი 31 ივლისისთვის




„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“
16 ივლისიდან
ელეონორ პორტერი
პოლიანა
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი







19 ივლისიდან
რევაზ მიშველაძე
ციყვი ბორბალში
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## დე როსი: „ახალი გამოწვევებისთვის მზად ვარ“



რომას ყოფილმა ფეხბურთელმა დანიელე დე როსიმ თავის ახალ გუნდ ბოკა ხუნიორსზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ძალიან საინტერესო ეტაპი დგება კარიერაში.

დე როსის თქმით, ის ბავშვივით ღელავს და ახალი გამოწვევებისთვის მზად არის:

– მთელი ცხოვრება რომში გავატარე, სადაც ფეხბურთზე გიჟდებიან და ახლა ისეთ ადგილას გადმოვედი, სადაც ასევე გიჟი ფანები არიან. ვღელავ და ერთი სული მაქვს, როდის გავალ მოედანზე. ეს ჩემთვის ახალი გამოწვევაა.

## ნეიმარს გაუპატიურების ბრალდება მოუხსნეს



ბრაზილიელ ვარსკვლავ ნეიმარს გაუპატიურების ბრალდება მოუხსნეს, რადგან საქმეში საკმარისი მტკიცებულებები არ იყო.

ნეიმარს ახალგაზრდა ბრაზილიელი მოდელი უჩიოდა, რომლის თქმითაც, ნეიმარმა ის პარიზში დაპატიჟა და შემდეგ ძალის გამოყენებით მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. ნეიმარი ამ ყველაფერს უარყოფდა და ამბობდა, რომ ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა და ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

ნეიმარის თქმით, მისგან უბრალოდ ფულის გამოძალვა უნდოდათ.

## მალკომი შესაძლოა ზენიტის ფეხბურთელი გახდეს

ბარსელონას ბრაზილიელი ფეხბურთელით, მალკომით, სანკტ-პეტერბურგის ზენიტი დაინტერესდა და მალკომის შეძენასთან ახლოს არის.

ბარსელონა ამ ტრანსფერში 45 მილიონს ითხოვს, ზენიტს კი 40 მილიონზე მეტის გადახდა არ სურს და ეს არის მთავარი დაბრკოლება.



ზენიტი ძალიან არის მოწადინებული მალკომის შეძენით და შესაძლოა დათანხმდეს ბარსელონას წინადადებას.

თვითონ ბრაზილიელ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკის სიმცირის გამო ბარსელონას დატოვება სურს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

გაცოფებული ქალი სახლში შევარდა და დივანზე წამოწოლილ ქმარს დაუღრიალა:

– ასე! მე ყველაფერი ვიცი!

– მართლა?! აბა, რამდენი შენაკადი აქვს მტკვარს?

●●●

მარტოხელა გოგონა ფეისბუქში წერს:

– ნათურა გადამეწვა, კაცებო, დამეხმარეთ.

მალე მიიღო კომენტარი:

– ჩემ ყველა ჯგუფში გავაზიარე, რითიც შემეძლო, დაგეხმარე!

●●●

ბიჭი გოგოსეუბნება:

– შენ რომ ხილი ყოფილიყავი, ატამი იქნებოდი! ისეთივე ტკბილი ხარ!

– მადლობა!

– შენ რომ ცხოველი ყოფილიყავი, ბაჭია იქნებოდი! ისეთივე პატარა და საყვარელი!

– ამას მანამდე გააგრძელებ, სანამ შენთან დაწოლაზე არ დაგთანხმდები?

– შენ რომ მამაკაცი ყოფილიყავი, შერლოკ ჰოლმსი იქნებოდი!

●●●

ფემინისტური ორგანიზაციების შეკრებაზე ტრიბუნაზე მდგომი ქალი სიტყვით გამოდის და ამბობს:

– რას გააკეთებდნენ მამაკაცები, ჩვენი, ქალების გარეშე?! უჩვენოდ რას გააკეთებდნენ?! ჰა?! მე თქვენ გეკითხებით...

ამ დროს კულისებიდან მამაკაცის ხმა ისმის:

– რას? რას და ბანანებსა და ქოქოსებს შევჭამდით სამოთხეში!!!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გამარჯობა გოგი! ასე სევდიანად რატომ გამოიყურები?

– ბიჭი შემეძინა.

– მერე მაგას რა ჯობია, უნდა გიხაროდეს!

– კი კარგია, მაგრამ ცოლმაც გაიგო...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– აბა შენ თვითონ დაფიქრდი, ამდენი წელი დივანზე ასე უსაქმურად ვიკოტრიალებდი, გვერდით საყვარელი ქალი რომ არ მყოლოდა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE
აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას
რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით.
დარეკეთ 577460659 ან 595183709

## პრინც ჰარის საყვარელი სამოსი გამოვლინდა



ბრიტანეთის პრინც ჰარის საყვარელ ჩასაცმელად ამერიკული უნივერმაღების ქსელის J. Crew-ს პიჯაკი დასახელდა, რომელიც მას 24-ჯერ ეცვა მეგან მარკლის გაცნობის მომენტიდან.

დიდი ბრიტანეთში ისეთი პიჯაკის ფასი, როგორიც პრინც ჰარის აქვს, 188 ფუნტ სტერლინგს შეადგენს. პიჯაკი ოთხ ფერშია ხელმისაწვდომი: ღია ყავისფერი, მუქი ლურჯი, ცისფერი და ნაცრისფერი. პრინცი სხვადასხვა ფერის პიჯაკს იცვამს, თუმცა ყველაზე ხშირად ნაცრისფერს.

როდესაც 2018 წლის აპრილში პირველად გამოჩნდა ამ პიჯაკში, მას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრინცის არჩევანზე გავლენა მეგან მარკლმა მოახდინა, ვინაიდან ის ამ ამერიკული ბრენდის დიდი ხნის თაყვანისმცემელია.

## ემილი რატაკოვსკის ახალმა საცურაო კოსტიუმმა ფანები ააღელვა

ამერიკელი ტოპ-მოდელის, მსახიობისა და დიზაინერის ემილი რატაკოვსკის თაყვანისმცემლებმა მისი ბრენდის Inamorata Woman-ის ახალი საცურაო კოსტიუმი შეაფასეს, რომლის ფოტოც მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.




ფოტოზე 28 წლის მოდელი ვარდისფერი ყველგანმავლის ფონზე პოზირებს. წითელი ფერის საცურაო კოსტიუმი შუაში ფართო ჭრილით რატაკოვსკის მუცელს და მისი მკერდის ქვედა ნაწილს აშიშვლებს.

– როგორი საცურაო კოსტიუმია! – დაწერა ფოტოს კომენტარში მოდელმა და მსახიობმა ლორა ჰარიერმა.

– უმშვენიერესი სხეულია! – დაწერა კომენტარში მოდელის ერთ-ერთმა ფანმა.

საცურაო კოსტიუმზე არანაკლებ დააინტერესა ინტერნეტ-მომხმარებლები ვარდისფერმა ყველგანმავალმაც.

– შესანიშნავი ვარდისფერი მანქანაა, უმშვენიერესი სხეული. მოუთმენლად ველი ახალ ფილმებს შენი მონაწილეობით, – საკუთარი მოსაზრება გამოთქვა კომენტარში მოდელის კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

ინსტაგრამში რატაკოვსკის ამ ფოტოსურათმა მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ალისონი: „ინდივიდუალური ტიტულები არ მაღელვებს“

ლივერპულის მეკარემ ალისონ ბეკერმა მომავალ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულის მთავარი პრიორიტეტი პრემიერლიგის მოგება იქნება.



გარდა ამისა, ალისონმა ინდივიდუალურ ჯილდოებზეც ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია და მთავარი გუნდის გამარჯვებაა:

– მინდა, რომ ლივერპულთან ერთად რაც შეიძლება მეტი ტურნირი მოვიგო. შარშან ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვეთ და წელს პრემიერ ლიგაც უნდა დავიპყროთ. ჩემთვის მთავარი გუნდია და ინდივიდუალური ჯილდოები არ მაღელვებს.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ“-ს ფეხბურთელი; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი; 4. ძილის მომგვრელი საშუალება; 5. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 6. განათების საზომი ერთეული ფიზიკაში; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო იარაღი; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. გიორგი ერისთავის პიესა; 17. სკანდინავიური თქმულება, ლეგენდა; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად**: 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. ძველი ფრანგული ტომი; 8. საქართველოში ფეხბურთელთა გუნდი; 10. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 14. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 15. კინოთეატრი თბილისში; 16. ბაღჩეული ხილი; 19. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 20. ქერის პური; 21. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*